აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №3-4 (№186-187) ● მარტი- აპრილი 2017 წელი

***

6 აპრილს, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი კამპანიის „კონსტიტუცია ყველასია“ ფარგლებში, აწსუ სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შეხვდა. პრეზიდენტმა ისაუბრა საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით და უპასუხა შეკითხვებს, რომლებიც მოიცავდა პრეზიდენტის ინსტიტუტის, ქუთაისის განვითარების, განათლების რეფორმისა და სხვ. საკითხებს. შეხვედრა წარიმართა კითხვა-პასუხის ფორმით. პრეზიდენტს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისაგან საჩუქრად გადაეცა ხელით გადაწერილი, აწსუ ფაბ-ლაბის მიერ აკინძული და ყდაში ჩასმული „ვეფხისტყაოსანი“

***

29 მარტს აწსუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრში პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტების ქუთაისის ბაგა-ბაღებში პრაქტიკისა და პროფესიული კურსის შესახებ პრეზენტაცია გაიმართა.

აწსუ-სა და ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში პედაგოგიური ფაკულტეტის თერთმეტმა სტუდენტმა წარმატებით გაიარა 3 თვიანი პედაგოგიური პრაქტიკა სკოლამდელი ინკლუზიური განათლების დაწესებულებებში. ამ პრაქტიკის განმავლობაში მათ ისწავლეს ბავშვის განვითარების სკრინინგ შეფასება Ш -ს (ასაკები და საფეხურების სკრინინგ შეფასების ინსტრუმენტი); ბავშვის ქცევაზე დაკვირვება, მონაცემების ინტერპრეტირება, ლიდერ-პედაგოგის ასისტირება ბავშვებთან ინდივიდუალურ თუ ჯგუფურ აქტივობებში, მათ შორის სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებთან.

სტუდენტებმა პრაქტიკამდე და პრაქტიკის შემდგომ ასევე გაიარეს თეორიული ცოდნის შეფასება ტესტირების სახით, დამატებითი ქულები დააგროვეს დასწრებისა და სუპერვაიზერების ქულების მინიჭების გზით, რაც ხელს შეუწყობს მათ დასაქმებას და ინკლუზიური განათლების განვითარებას რეგიონში.

ღონისძიებაზე პრაქტიკის წარჩინებულად კურსდამთავრებულ სტუდენტებს სერთიფიკატები გადაეცათ.

***

10 მარტს აწსუ სამკითხველო დარბაზში, გაიმართა სსიპ საქართველოს შსს აკადემიასა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმის გაფორმების ცერემონია. შსს აკადემიის რექტორი, გივი მიქანაძე შეხვდა აწსუ სტუდენტებს. ღონისძიებაზე ნაჩვენები იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში მომზადებული დოკუმენტური ფილმი, რომელიც ეძღვნება 1956 წლის 9 მარტის მოვლენების ოფიციალურ ქრონიკას, თვითმხილველთა მოგონებებს, საიდუმლო შიფრტელეგრამებს, 9 მარტის შემდგომ რეპრესიებს, სისხლის სამართლის საქმეს მე-11 კლასელი ლიდერების (ზ. გამსახურდია, მ. კოსტავა და სხვ.) მიმართ, დაჭრილებისა და გარდაცვლილების სიებს, უნიკალურ ფოტოდოკუმენტურ მასალას.

***

საქართველო-ევროკავშირის საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შეხვდა. შეხვედრაზე განიხილეს საქართველოს ევროპული ინტეგრაციისა და ევროკავშირის/შენგენის სივრცესთან უვიზო რეჟიმის შემოღების საკითხები. საინფორმაციო შეხვედრას აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი ღავთაძე, ქუთაისის მერი შოთა მურღულია, საგარეო საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის წარმომადგენლები, იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციისა და მერიის წარმომადგენლები და მასმედია დაესწრო. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა და დისკუსიით დასრულდა.

***

20 აპრილს, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ილიაუნის „პოეზიის აფთიაქის“ კონკურსის - „პოეზიის ა(მ)ბების“ პრეზენტაცია. შეხვედრა გახსნა და სტუმრებს მიესალმა უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე შალვა კირთაძე. სტუმრები დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა ასოც. პროფესორმა ლუკა დვალიშვილმა. პროექტი წარადგინეს კონკურსის ჟიურის წევრებმა: იდეის ავტორმა და ორგანიზატორმა, ილიაუნის პროფესორმა, პოეტმა ციერა ბარბაქაძემ, პოეტმა პაატა შამუგიამ, მთარგმნელმა, პროფ. გია ჯოხაძემ, პროექტის კოორდინატორმა, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფ. შორენა ბარბაქაძემ. პროექტის წარდგენის შემდეგ პოეზიის საღამო გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ ილიაუნისა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები. კონკურსი „პოეზიის ა(მ)ბები“ დასრულდება მაისის თვეში. გამარჯვებულთა დაჯილდოება და პოეზიის კრებულის პრეზენტაცია გაიმართება მაისის ბოლოს.

***

21 აპრილს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მეცნიერების პოპულარიზაციის მიზნით, გაიმართა სამეცნიერო პიკნიკი სახელწოდებით „მეცნიერება სახალისოა“. ღონისძიება აწსუ რექტორმა გიორგი ღავთაძემ გახსნა და აღნიშნა, რომ სამეცნიერო პიკნიკი უპირველესად განკუთვნილი იყო სკოლის ასაკის მოზარდებისათვის, თუმცა საინტერესო იქნებოდა ნებისმიერი ასაკის ადამიანისთვისაც. ღონისძიების მთავარი ამოცანა სახალისო ფორმით თანამედროვე მეცნიერების მიღწევების წარმოჩენა იყო. სამეცნიერო პიკნიკის ფარგლებში, სპეციალურად გაშლილ კარვებში/პავილიონებში ჩატარდა საინტერესო ექსპერიმენტები და ინტერაქციული გამოფენები, სახალისო ვიქტორინა-კონკურსები და მასტერკლასები. სამეცნიერო პიკნიკი ქუთაისში პირველად ჩატარდა და მასში იმერეთისა და დასავლეთ საქართველოს რეგიონის (ბაღდათი, ვანი, ზესტაფონი, თერჯოლა, წყალტუბო, საჩხერე, ჭიათურა, ხარაგაული, ხონი, სამტრედია, ფოთი) სკოლების IX, X, XI და XII კლასის მოსწავლეები მონაწილეობდნენ. ღონისძიებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიისა და საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. სამეცნიერო პიკნიკის თანაორგანიზატორობა გაუწია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ და ჩეხურმა არასამთავრობო ორგანიზაციამ „ადამიანი გაჭირვებაში“.

ვეფხისტყაოსნის მთარგმნელი აწსუ-ში

„ვეფხისტყაოსანი” ათეულობით ენაზეა თარგმნილი და გამოცემული, სპეციალისტების აზრით, საუკეთესოდ ითვლება ფინურ, ივრითულ, რუსულ, გერმანულ და კიდევ რამდენიმე ენაზე შესრულებული თარგმანები, რომლებიც ორიგინალს ყველაზე უფრო უახლოვდებიან.

პოემის დღემდე არსებული ინგლისურენოვანი თარგმანებიც ბოლომდე ვერ წარმოაჩენენ მის გენიალურობას, თუმცა, საბედნიეროდ, სულ ახლახანს, გამომცემლობა „Poezia Press”-მა დაბეჭდა ამერიკელი პოეტის, მწერლისა და მთარგმნელის ქალბატონ ლინ კოფინის მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის” ახალი თარგმანი, რომელსაც მან სამი წელი შესწირა. უნიჭიერესმა ამერიკელმა პოეტმა წინამდებარე თარგმანით ქართველთა მრავალი თაობის სურვილი აახდინა. ეს არის ყველაზე დიდი კულტურული მოვლენა, რაც 21-ე საუკუნის საქართველოში მომხდარა. ლინ კოფინის გამორჩეული ტალანტი იმაში მდგომარეობს, რომ მან 16 მარცვლიანი შაირით, სწორედ იმ პოეტური ფორმით აამეტყველა რუსთაველის პოემა, რომლითაც იგი დაიწერა. თარგმანი მაქსიმალურად არის დაახლოებული პოემის შინაარსთან და მის მხატვრულ ძალმოსილებასაც ჯეროვნად გადმოსცემს. “ვეფხისტყაოსანზე” მუშაობა მთარგმნელმა 2012 წელს დაიწყო. პწკარედები შეასრულა პროფესორმა დოდონა კიზირიამ. თარგმანის ტექსტს საფუძვლად უდევს 1966 წელს „ვეფხისტყაოსნის” ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ მომზადებული გამოცემა და პროფესორ ნოდარ ნათაძის მიერ კომენტირებული გამოცემა. შესაბამისად რედაქტირება გაუკეთა პროფესორმა ნოდარ ნათაძემ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თარგმანმა არა მარტო მკითხველის, არამედ ლიტერატურათმცოდნეების მოწონებასაც დაიმსახურა. გამოცემა უნგრელი მხატვრის მიხაი ზიჩის ილუსტრაციებით და გრიგოლ ტატიშვილის საზედაო ასოების ორნამენტებით არის გაფორმებული. წიგნი მიმზიდველი დიზაინით, განსაკუთრებით კი ყდით გვამახსოვრებს თავს.

ამერიკელი პოეტი, მწერალი და მთარგმნელი ლინ კოფინი დაიბადა 1943 წელს. დღემდე გამოქვეყნებული აქვს პოეზიის სამი კრებული. მისი ლექსები, ესეები, მოთხრობები და პიესები წლების განმავლობაში იბეჭდება პერიოდულ გამოცემებში. იგი მონაწილეობდა პოეზიის საღამოებში იოსებ ბროდსკისა და ჩესლავ მილოშთან ერთად. გია ჯოხაძის მიერ თარგმნილი მისი ლექსების კრებული 2012 წელს თბილისშიც გამოიცა. ლინ კოფინს მთარგმნელობის მრავალწლიანი და წარმატებული გამოცდილება აქვს. ლინ კოფინისეული თარგმანი გამოყენებულ იქნა, ნობელის კომიტეტის მიერ ჩეხი პოეტის იაროსლავ სეიფერტისათვის პრემიის მინიჭებისას 1984 წელს. ლინ კოფინს ასევე თარგმნილი აქვს ანა ახმატოვა, ჩეხი, ჰოლანდიელი, მონღოლელი და ირანელი პოეტები. რამდენიმე წელია იგი აქტიურად თანამშრომლობს საქართველოსთან. 2013 წელს დ. კიზირიას რედაქტორობით აშშ-ში გამოიცა “ქართული პოეზიის ანთოლოგია”, რომელშიც შევიდა ძველი ქართული ლიტერატურის (XIX ს ჩათვლით) ნიმუშები. ლ. კოფინმა ასევე თარგმნა თანამედროვე ქართველი მწერლები – დათო ბარბაქაძე, გიორგი კეკელიძე, გივი ალხაზიშვილი, ზაზა აბზიანიძე. 2016 წელს ლინ კოფენმა გაიმარჯვა ლიტერატურული პრემია „საბას” ნომინაციაში - საუკეთესო „თანამედროვე თარგმანი”.

9 მარტს ქ-ნი ლინ კოფინი აწსუს ეწვია. შეხვედრა მწვანე დარბაზში გაიმართა (ინიციატორი ჰუმანიტარულ მეცნირებათა ფაკულტეტი). დამსწრე საზოგადოება ინტერესით უსმენდა ქ-ნი ლინის მონათხრობს, თუ როგორ მუშაობდა ქართველებისთვის უძვირფასესი პოემის თარგმანზე. „როცა სრულიად უსასოო მდგომარეობაში, ვედარ ვაგრძელებდი თარგმნას, რუსთაველის აჩრდილი მეცხადებოდა და ის მაძლევდა ძალას განმეგრძო მუშაობაო” – განაცხადა მან.

ლინ კოფინმა დატოვა პოეტურად ემოციური, ცხოვრებით დაბრძენებული, სათნო ქალბატონის შთაბეჭდილება, რომელსაც შეუძლია უანგარო, სუფთა ურთიერთობა.

ლელა ჩოგოვაძე

სახელმწიფო ენის დღისადმი მიძღვნილი ჯვირეული აპაპი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში 10-12 აპრილს, ტრადიციულად, გაიმართა საქართველოს სახელმწიფო ენის დღისადმი მიძღვნილი კვირეული. კვირეულის ფარგლებში ჩატარდა კონკურსი **„ვინ უკეთ წერს"**, ვიქტორინა **„თუ დაივიწყე ენა ქართული!.."** სტუდენტებმა უნივერსიტეტისა და ქალაქის მასშტაბით გაავრცელეს ბუკლეტები ქართული ენის შესახებ.

კონკურსში „ვინ უკეთ წერს" ჟიურის წევრებმა (ასოც. პროფესორი **ლ. დვალიშვილი** – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი **ა. ნიკოლეიშვილი** – ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი **რ. საღინაძე** – ქართული ენის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოც. პროფესორი **ნ. წულეისკირი** – ზოგადი ენათმეცნიერების მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი **ნ. კუტივაძე** – ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი, ასოც. პროფესორი **ე. დადიანი** – ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი, ქართული ენის მიმართულება) გამოავლინეს სამი გამარჯვებული: I ადგილი – **ბექა ფოცხვერია** (ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, სპეციალობა – სამართალი, III კურსი), II ადგილი – **ნინო ხუსკივაძე** (ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, სპეციალობა – ბიოლოგია, I კურსი), III ადგილი – **ირმა ძნელაძე** (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, სპეციალობა – ქართული ენა და ლიტერატურა, I კურსი).

ვიქტორინაში **„თუ დაივიწყე ენა ქართული!.."** რომელიც წელს მეცხრედ ჩატარდა, მონაწილეობდა სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტთა 11 გუნდი. პირველი ადგილი დაიკავა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის გუნდმა **„უბრჯგუ"**, მეორე ადგილზე გავიდა გუნდი **„ხომლი"**, მესამეზე კი – ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის გუნდი **„სინონიმები"**.

სახელმწიფო ენის კვირეულის ფარგლებში ჩატარდა **კონფერენცია** ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა შემსწავლელი წრის (ხელმძღვანელი **ნ. ჩეჩელაშვილი**) წევრთა მონაწილეობით. ქართული ენის შესახებ საინტერესო მოხსენებები წარმოადგინეს ქუთაისის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებმა: ანა ცუხიშვილმა (23-ე საჯარო სკოლა, X კლასი), თათია გუმბერიძემ (36-ე საჯარო სკოლა, X კლასი), ნინო ზივზივაძემ (30-ე საჯარო სკოლა, X კლასი), თეკლა ცუცხაშვილმა (41-ე ფიზიკა-მათემატიკური სკოლა, VIII კლასი), ნათია გურულმა (ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმი, X კლასი), თამთა ჩხენკელმა (კადეტთა სამხედრო ლიცეუმი, X კლასი), ნიკა ცნობილაძემ (31-ე საჯარო სკოლა, VIII კლასი), ნინო გოტიაშვილმა (კადეტთა სამხედრო ლიცეუმი, X კლასი), ლიკა სახვაძემ (მე-40 საჯარო სკოლა, XI კლასი), ნიკოლოზ ახვლედიანმა (კადეტთა სამხედრო ლიცეუმი, IX კლასი), ნათია ფრუიძემ (მე-7 საჯარო სკოლა, VIII კლასი), მაია გოგრიჭიანმა (მე-40 საჯარო სკოლა, XI კლასი), ნინო ტყეშელაშვილმა (მე-3 საჯარო სკოლა, IX კლასი), მარიამ ახვლედიანმა (მე-2 საჯარო სკოლა, VIII კლასი), ნინო ტურაბელიძემ (მე-3 საჯარო სკოლა, IX კლასი). უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ პროფესორმა **შალვა კირთაძემ** გამოთქვა სურვილი, რომ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები გამოცემულ იქნეს კრებულის სახით.

12 აპრილს გაიმართა დასკვნითი ღონისძიება – ლიტერატურულ-მხატვრული კომპოზიცია (რეჟისორი **ლევან კვატაშიძე**). ღონისძიების ბოლოს სიგელებითა და პრიზებით დაჯილდოვდნენ კონკურსსა და ვიქტორინაში გამარჯვებული სტუდენტები. სიმბოლური პრიზები დამზადდა აწსუ მომავლის სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიაში (FabLab).

კვირეული ორგანიზებული იყო აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანატის, ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის, ქართული ენის მიმართულებისა და სტუდენტთა საენათმეცნიერო წრის მიერ.

ქართული ენის მიმართულება
სტუდენტთა საენათმეცნიერო წრე

ხსოვნა სიცოცხლის გაგრძელებაა

ჩვენი უნივერსიტეტის მესაძირკვლე

(აკადემიკოსი გიორგი ახვლედიანი – 130)



აკადემიკოსი გიორგი ახვლედიანი

130 წლის წინათ ლეჩხუმში, სოფელ დერჩში, დაიბადა მსოფლიოში ცნობილი ენათმეცნიერი, დიდი საზოგადო მოღვაწე გიორგი ახვლედიანი, რომელმაც 1910-1914 წლებში დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. აქ მიიღო საფუძვლიანი განათლება ინდო-ევროპულ ენათმეცნიერებაში, კლასიკურ ფილოლოგიაში. შეისწავლა ძველი ინდური, ძველი სპარსული, ძველი გერმანული, სლავური ენები. ის იყო პოლიგლოტი, ფენომენი ენის ცოდნაში. მან იცოდა 40 ენა, რომელთაც კარგად იყენებდა მეცნიერული კვლევა-ძიების დროს, დედანში კითხულობდა მსოფლიო ლიტერატურის შედევრებს.

გიორგი ახვლედიანმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ინდოლოგიაში, ირანისტიკასა და ზოგად ექსპერიმენტულ ფონეტიკაში. იოსებ ყიფშიძესა და აკაკი შანიძესთან ერთად საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ენათმეცნიერების კვლევა-ძიების საქმეს. 1923 წელს მისი ინიციატივით ჩამოყალიბდა საქართველოს ენათმეცნიერული საზოგადოება. მის სახელთანაა დაკავშირებული კადრების აღზრდა ზოგად და ექსპერიმენტულ ფონეტიკაში, ზოგად ენათმეცნიერებაში, გერმანისტიკაში, ინდოლოგიაში. „გიორგი ახვლედიანი და აკაკი შანიძე თბილისის საენათმეცნიერო სკოლის მამამთავრები არიანო“, – წერდა დიდი ივანე ჯავახიშვილი. გიორგი ახვლედიანს ძველი ინდური ენების ცოდნით არაერთხელ გაუოცებია უცხოელი ორიენტალისტები. მისი ნაშრომები ამ კუთხით გამოცემულია საზღვარგარეთ. ის იყო უდიდესი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე. არ დარჩენილა ჩვენს საზოგადოებრივ საქმიანობაში რომელიმე სფერო, რომ გიორგი ახვლედიანს თავისი სიტყვა არ ეთქვა. იყო სამაგალითო აღმზრდელი.

გიორგი ახვლედიანი ითვლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ–ერთ ფუძემდებლად. მისი აქტიური მონაწილეობით დაარსდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისის ა.ს. პუშკინის, შემდეგში სულხან-საბას უნივერსიტეტი (დღეს ეს უნივერსიტეტი შეერთებულია ილიას უნივერსიტეტთან), სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტები. გიორგი ახვლედიანის თაოსნობითა და მზრუნველობით 1933 წელს ქუთაისში დაარსდა ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი (ამჟამად აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

დღეს, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა თანამშრომლის მორალური მოვალეობაა გავიხსენოთ ამ სასწავლო დაწესებულების ერთ–ერთი ფუძემდებელი, 1933 წელს მისი მესაძირკვლე, აკადემიკოსი გიორგი ახვლედიანი, რომელსაც სიცოცხლის არაერთი წელი აქვს გატარებული ქ. ქუთაისში. ის ჯერ სწავლობდა ამ ქალაქში. კერძოდ, დერჩის სამრევლო სკოლის შემდეგ სწავლა ქუთაისის საოთავადაზნაურო სკოლაში გააგრძელა. აქ აღეძრა ქართული ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და ხელოვნების ღრმად შესწავლის ინტერესი. ქართულ ენას ცნობილი გრამატიკოსი და ლიტერატორი სილოვან ხუნდაძე ასწავლიდა. ქუთაისში დაამთავრა გიორგი ახვლედიანმა სათავადაზნაურო სკოლა. მას შემდეგ კი, რაც ხარკოვის უნივერსიტეტი დაასრულა, ჩვენ მას კვლავ ქუთაისში ვხედავთ. ეს იყო 1914-1915 წლებში. ჩვენს ქალაქში ის დანიშნეს ქართული გიმნაზიის მასწავლებლად, სადაც ასწავლიდა რუსულ ენას, სიტყვიერებას, ლათინურ ენასა და ისტორიას. იყო პედაგოგიური საბჭოს წევრი, მაგრამ აქ მხოლოდ ერთი წელი იმუშავა. ამ საქმიანობას ის მოსწყვიტა ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორმა ენძელინმა, რომელმაც გიორგი ახვლედიანი ხარკოვში წაიყვანა „საპროფესოროდ მოსამზადებლად“.

1933-1934 წლებში, ქუთაისის პედინსტიტუტის დაარსებისთანავე, ბ-ნი გიორგი ხელმძღვანელობდა ამ ინსტიტუტის სასწავლო საქმიანობას. ამავდროულად, 1933-1937 წლებში განაგებდა ამავე ინსტიტუტში ზოგადი ენათმეცნიერების კათედრას. ამ კათედრაში შემავალი საგანი „ენათმეცნიერების შესავალი ფონეტიკითურთ“ ისწავლებოდა ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ქართულ და რუსულ ენათა სპეციალობებზე. ამ დროს ენათმეცნიერების კათედრაზე მუშაობდა ორი ლექტორი: გამგე გიორგი ახვლედიანი და ასისტენტი გიორგი როგავა. ბ-ნი გიორგი ახვლედიანი ასწავლიდა ზოგად ენათმეცნიერებას ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის პირველი კურსის სტუდენტებს, შემდეგში ცნობილ ენათმეცნიერებს, პოეტებს, კრიტიკოსებსა და საზოგადო მოღვაწეებს: პროფესორებს მიხეილ ალავიძეს, ნელი დუმბაძეს, აქვსენტი მიშველაძეს, გიორგი შალამბერიძეს, ლევან კიკნაძეს, პოეტ ლადო ასათიანს, კრიტიკოს შოთა ქურიძეს და სხვებს. სწორედ ამ პერიოდში გამოიცა გიორგი ახვლედიანისა და არნოლდ ჩიქობავას მიერ შედგენილი სახელმძღვანელო „ენათმეცნიერების პროპედევტიკა და ზოგადი ფონეტიკა“ (განაკვეთები), გიორგი ახვლედიანის წიგნები: „უცხოურ სიტყვათა ლექსიკონი“, „ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები“, ასევე რამდენიმე მნიშვნელოვანი სტატია, რომლებიც ბ-ნმა გიორგი ახვლედიანმა დაბეჭდა ქუთაისის ლიტერატურულ გაზეთ „საბჭოთა მწერალში“. ბ-ნი გიორგი ახვლედიანი გამოდიოდა მოხსენებებით პედინსტიტუტსა და ქ. ქუთაისის კულტურის სახლში გამართულ გამსვლელ სამეცნიერო სესიებზედაც. 1957 წელს პედინსტიტუტში გაიმართა გიორგი ახვლედიანის დაბადების 70 წლის იუბილე. მან 1968 წელს ქუთაისის თეატრსა და პედაგოგიურ ინსტიტუტში თბილისის უნივერსიტეტის 50 წლის საიუბილეო სხდომებზე წარმოთქვა სიტყვა. გიორგი ახვლედიანი გარდაიცვალა 1973 წელს. დაკრძალულია თბილისის უნივერსიტეტის ეზოში.

2017 წლის 12 აპრილს აკად. გიორგი ახვლედიანის სახელობის წყალტუბოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ჩატარდა გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს გიორგი სარიდანის ძე ახვლედიანის დაბადების 130 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა ამ მუზეუმის დამაარსებელმა და შემდგომ 40 წლის მანძილზე დირექტორმა, ამჟამად ამ მუზეუმის გამოცემების კოორდინატორმა, 1970 წლიდან აკად. გიორგი ახვედიანის „შვილობილმა“, კულტურის დამსახურებულმა მუშაკმა, დერჩის საზოგადოების საპატიო წევრმა, ღირსების ორდენის კავალერმა, წყალტუბოს საპატიო მოქალაქემ, 30 წიგნის ავტორმა, „იმედის“ 2013 წლის გმირმა, კიდევ უამრავი რეგალიის მფლობელმა ქ-ნმა ციალა ღვინიანიძემ. ქ-ნ ციალას თავისივე წიგნებიდან ვიცნობდი, მაგრამ ცოცხლად არ მენახა. გაკვირვებული დავრჩი. მიუხედავად წელთა სიმრავლისა (ორიოდე დღით ადრე შესრულდა 85 წლის), ის ახალგაზრდულად გამოიყურებოდა და ეტყობოდა, რომ იყო ენერგიით სავსე. მან შესანიშნავი მასპინძლობა გაგვიწია, დაგვათვალიერებინა მუზეუმი, ღონისძიების დამთავრებამდე ფეხზე იდგა და ისე მიჰყავდა ეს კონფერენცია. დასაწყისში დამსწრე საზოგადოებამ ინტერესით დაათვალიერა ქ-ნი ციალას მომზადებული 16 წუთიანი ფოტოკოლაჟი სოფელ დერჩის, აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის ოჯახის წევრების და თვით ბატონი გიორგის ბავშვობისა და შემდგომი საქმიანობის შესახებ.

აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის შვილობილი ქ-ნი ციალა ღვინიანიძე

მეამაყება, რომ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან კონფერენციას ვესწრებოდით და აკად. გიორგი ახვლედიანის შექმნილ ნაშრომებზე, მისი ცხოვრებისა და მეცნიერული მოღვაწეობის მნიშვნელოვან საკითხებზე მოხსენებებით გამოვედით პროფ. **მარინა ქაცარავა,** ასოც. პროფ. **ნატალია წულეისკირი** და **ამ სტრიქონების ავტორი.**

სესია გაალამაზა აკად. გიორგი ახვლედიანის დისშვილების, **თემურ და ენრიკო გაბიძაშვილების,** სტუმრობამ დერჩიდან და თბილისიდან. მათ გულთბილი სიტყვები წარმოთქვეს, მადლობა გადაუხადეს ქ-ნ ციალას გულისხმიერებისათვის, გაიხსენეს სახელოვანი ბიძა და მასთან ერთად გატარებული წლები.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვით გამოვიდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებელი **კონსტანტინე მამისეიშვილი,** რომელმაც სიყვარულით ისაუბრა ქ-ნი ციალას მისადმი დედაშვილურ დამოკიდებულებაზე, გაიხსენა მისი პირველი სტუმრობა ამ მუზეუმში, როგორ დაათვალიერებინა ის ქ-ნმა ციალამ, როგორ უხსნიდა მუზეუმისა და თითოეული ექსპონატის ისტორიას; გულთბილად მიულოცა დაბადების 85 წელი და გადასცა მუნიციპალიტეტის საჩუქრები. მან აქვე აღნიშნა ამ ქალბატონის დამსახურება მარტო წყალტუბოს საგიზიტო ბარათის – მუზეუმის დაარსებასა და მისთვის აკად. გიორგი ახვლედიანის სახელის მიკუთვნებაში კი არა, არამედ დერჩში აკადემიკოსის სახლ-მუზეუმის გახსნაში, სხვა მუზეუმებისათვის გაწეულ შრომაში და ბოლოს ისიც თქვა, რომ ქ-ნი ციალას მაგალითზე უნდა აღიზარდონ მომავალი თაობები, რომ ისწავლონ შრომის, ადამიანების პატივისცემის, ერთგულების, პატრიოტიზმის, საქვეყნო სამსახურის ფასი, რომ უყვარდეთ სამშობლო, ოჯახი, იყონ საქმისმოყვარულები, შეძლონ შეუძლებელი, მიაღწიონ დასახულ მიზანს, ჰქონდეთ მომავლის რწმენა... ასეთი ადამიანები ალამაზებენ, ამშვენებენ, ამკობენ სრულიად საქართველოს.

კონფერენციის მონაწილეებმა სიამოვნებით მოისმინეს მუზეუმის ხელოვნებათმცოდნის **ნინო ლექვთაძის,** წყალტუბოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კურატორ **დალი ხაჭაპურიძისა** და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანების მენეჯერ **ია კუხალეიშვილის** მოხსენებები. სესია დაამშვენა **ქეთევან დერჩელის (ასათიანის)** ღრმაშინაარსიანმა გამოსვლამ და მისმა ლექსებმა დერჩზე, აკად. გიორგი ახვედიანსა და ქ-ნ ციალა ღვინიანიძეზე, ასევე ექიმ **ელადა ქაროსანიძისა** და **რამაზ იოსელიანის** იქვე წარმოთქმულმა სიტყვებმა.

კონფერენცია, რომელიც აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის დაბადებიდან 130 წლისთავს ეძღვნებოდა, გულთბილ და საქმიან ვითარებაში ჩატარდა.

ი. რ.

ტრადიციადქცეული ფრანკოფონიის დღეების მე-11 წლიანი ზეიმი უნივერსიტეტში

მარტის თვე მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ფრანკოფონიის თვეა, ხოლო ყოველი წლის 20 მარტს მსოფლიო ფრანკოფონიის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს. ფრანკოფონიის საერთაშორისო ორგანიზაცია 1970 წელს დაარსდა, როგორც ფრანგულენოვანი ქვეყნების პატარა კლუბი. მოგვიანებით იგი გახდა საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელსაც უკვე სხვადასხვა ქვეყანაში აქვს საკმაოდ მრავალრიცხოვანი ფილიალი, რომლებიც მუშაობენ კულტურის, სამეცნიერო, ეკონომიკურ, იუსტიციის და მშვიდობის საკითხებზე.

ორგანიზაციის მოღვაწეობის მთავარი მიმართულებებია მონაწილე ქვეყნების უნივერსალური პროგრამების რეალიზაციის სფეროში მხარდაჭერისა და თანამშრომლობის პოლიტიკა, ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის განვითარება, ფრანგული ენისა და კულტურის პოპულარიზაცია, მეცნიერების განვითარების მხარდაჭერა და სხვა.

უკვე კარგა ხანია ფრანკოფონიის დღეების აღნიშვნა საქართველოში ტრადიციად იქცა. საფრანგეთის საელჩო, ფრანგული ინსტიტუტი, საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებელი თუ საჯარო სკოლა, ყოველწლიურად მრავალმხრივ საინტერესო, სხვადასხვა სახის კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებს გვთავაზობენ.

წელს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მეთერთმეტედ საზეიმოდ აღნიშნა უკვე კარგ ტრადიციად ქცეული ფრანკოფონიის დღეები. პროგრამა, როგორც ყოველთვის, მრავალფეროვანი და სხვა წლებისაგან განსხვავებული იყო.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კლასიკური და რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტის (ხელმძღვანელი, პროფ. ნინო ჩიხლაძე) და ენათა ცენტრის (ხელმძღვანელი ასოც. პროფ. ნათია ზვიადაძე) თაოსნობით, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციის აქტიური მხარდაჭერით, ქალაქის მასშტაბით სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მთელი კვირის განმავლობაში საინტერესო ღონისძიებები მოეწყო და ფრანკოფონიის დღეებმა თითქმის მთელი ქალაქი მოიცვა.

წელს ფრანკოფონიის დღეების პროგრამა გამორჩეულად მრავალფეროვანი იყო და მან საუნივერსიტეტო საქმიანობის თითქმის ყველა სფერო მოიცვა: სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, სკოლებთან ურთიერთობა, დღაწლმოსილ მეცნიერთა გახსენება, ფრანგული ენის კონკურსი „J'aime le français", ვიქტორინები, ღია გაკვეთილები, სკოლის მოსწავლეთა მიერ წარმოდგენილი სპექტაკლები, პიესათა ინსცენირებები, შეხვედრა გამოჩენილ ადამიანებთან, ფრანგული ფილმების ჩვენება-განხილვები, შეხვედრა საფრანგეთის საელჩოსა და ფრანგული ინსტიტუტის წარმომადგენლებთან, პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები, სამეცნიერო ღონისძიებები საჯარო ბიბლიოთეკაში, ფრანგ მწერალ ოლივე როლენთან შეხვედრა და და ბევრი სხვა.

მაღალ დონეზე წარიმართა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია "La langue et la culture française", რომელშიც ჰუმანიტარული ფაკულტეტის სხვადასხვა სპეციალობის 20-მდე ფრანგულენოვანი სტუდენტი იღებდა მონაწილეობას. პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობდნენ არა მარტო ფრანგული ენის პროფესორ-მასწავლებლები, არამედ ფრანგული ენითა და კულტურით დაინტერესებული მეცნიერები საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან.

ფრანკოფონიის დღეების ფარგლებში უნივერსიტეტში გაიმართა ქართველი მეცნიერის, მთარგმნელისა და პედაგოგის, ფატი გოკიელის ხსოვნის საღამო (ორგანიზატორი, კლასიკური და რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფ. ნინო ჩიხლაძე, ინიციატორი, ასოც. პროფ. ბაია კოღუაშვილი), რომლითაც დეპარტამენტმა სათავე დაუდო მოგონებათა ციკლს იმ ადამიანებზე, რომლებთან ერთად 1933 წელს ფუნქციონირება დაიწყო ჩვენს ქალაქში პირველმა და ქვეყნის მასშტაბით მეორე (თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემდეგ) უმაღლესმა სასწავლებელმა. საღამოს ესწრებოდნენ ფატი გოკიელის შთამომავლები, რომელთაც სიყვარულით გაიხსენეს დიდი წინაპრის მონათხრობი ქუთაისზე, აქ გატარებულ წლებზე, თეატრალურ ქალაქზე, რომელთაც დიდი ენთუზიაზმით ემსახურებოდნენ ქალბატონი ფატი და მისი მეუღლე, დოდო ანთაძე.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ფრანგული ენის ყოველწლიური რეგიონალური კონკურსი „J'aime le français", რომელშიც მონაწილეობას იღებს დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა საჯარო სკოლა, სადაც კი ფრანგული ენა ისწავლება. კონკურსმა გამოავლინა ბევრი ნიჭიერი მოსწავლე, რომლებიც დაჯილდოვდნენ სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით. მათი წარმატება, უდავოდ, მასწავლებელთა დიდი დამსახურებაა. მათ შორის ყველაზე აქტიურები - ქეთევან ხვედელიძე (30-ე საჯარო სკოლა), მანანა ჯანელიძე (25-ე საჯარო სკოლა) და მანანა მაჩიტიძე ზესტაფონის მე-6 საჯარო სკოლა), აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, რექტორმა, პროფ. გიორგი ღავთაძემ, კლასიკური და რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტის ინიციატივით, მადლობის სიგელით დააჯილდოვა უნივერსიტეტთან აქტიური თანამშრომლობისთვის, ფრანგული ენის პოპულარიზაციის ხელშეწყობისა და მრავალწლიანი ღვაწლისთვის.

გამოვარჩევდით ქუთაისის 30-ე, 25-ე, 32-ე, 17-ე, ფოთისა და სამტრედიის საჯარო სკოლების აქტიურ ჩართულობას ფრანკოფონიის დღეებში. სკოლებში ჩატარდა ახალი მეთოდებით გამართული ღია გაკვეთილები ფრანგულ ენაში, სპექტაკლები ფრანგულ ენაზე, სხვადასხვა ფრანგულენოვანი ღონისძიებები.

აწსუ ფრანკოფონების მიერ ინიცირებულ ფრანკოფონიის დღეების ფარგლებში ყოველწლიურად ძალიან საინტერესო ღონისძიებებს გვთავაზობს ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის უცხოენოვანი განყოფილება და მისი ხელმძღვანელი შორენა ხადური, რომელმაც წელს გამორჩეული პრეზენტაცია აჩუქა ფრანკოფონებსა და ფრანგული კულტურის მოყვარულ საზოგადოებას ფრანგული ეტიკეტის შესახებ.

ფრანკოფონიის კვირეული დაიხურა შეხვედრით ფრანგ მწერალთან, ოლივიე როლენთან, მრავალი წიგნის ავტორთან, ლიტერატურული პრემიების - ფემინას, ფრანს-კულტურის და სტილის - ლაურეატთან, ოლივიე როლენთან და კონკურსში „მე მიყვარს ფრანგული ენა" გამარჯვებული მოსწავლეების დაჯილდოებით. მათ სიგელები გადასცეს უნივერსიტეტის საპატიო სტუმარმა, საჩუქრები საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის დირექტორმა, ბატონმა ჟან-ივ ლავუარმა გადასცა, რომელიც ჩვენი დიდი მეგობარია და აქტიურად თანამშრომლობს უნივერსიტეტის კლასიკური და რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტთან.

ფრანკოფონიის დღეები 2017 დასრულდა იმ იმედით, რომ მომავალში კვლად გაგრძელდება და კიდევ უფრო საინტერესო ღონისძიებებს შემოგვთავაზებს. მზადება მომავალი ფრანკოფონიის დღეებისათვის აწსუ ფრანკოფონებმა უკვე დაიწყეს.

ია ხაჭაპურიძე
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
კლასიკური და რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტი.

ლადო ასათიანი - ჩვენი სასწავლო დაწესებულების სიამაყე

„ვისაც მფარველად მუზა ჰყოლია, უსვდავი იყოს სახელი მისი"

„ქართული პოეზიის ოქროპირის", ჩვენი ერის საამაყო შვილის, „განსხვავებული ხმის" პოეტის, სასიქადულო მგოსნის, ლადოს, 100 წლის იუბილე 2017 წლის 11 აპრილს ჩატარდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ლადო ასათიანი ქუთაისში დაიბადა 1917 წლის 14 იანვარს ყოფილ წულუკიძის ქუჩაზე პედაგოგ გედეონ ხელაძის ოჯახში. მშობლები ქუთაისის ახლომდებარე სოფლებში პედაგოგიურ ასპარეზზე მოღვაწეობდნენ და ბინაც დროდადრო სოფელ მაღლაკსა და ქუთაისში სხვადასხვა ადგილზე ჰქონდათ ნაქირავები (ლადოს საცხოვრებელი ადგილები ქ. ქუთაისში სრულყოფილად დაადგინა პროფ. მიხეილ ალავიძემ). მაღლაკის დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ ლადო სწავლობდა ქუთაისის პირველ საცდელ-საჩვენებელ სკოლაში (შვიდწლედში), რომელიც 1931 წელს დაასრულა და იმავე წელს სწავლა ცაგერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში განაგრძო. ეს ტექნიკუმი ლადომ, ტექნიკუმის მასწავლებლების ტერმინით, მათმა „თვალის ჩინმა", დაამთავრა 1934 წელს. 1934 წლის 1 სექტემბრიდან 1938 წლის 1 ივნისამდე ლადო ასათიანი ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტია. ის ჯერ საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე სწავლობდა, შემდეგ გადავიდა ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე, № 33 ჯგუფში, სადაც „ლექციებს კითხულობდნენ თბილისის უნივერსიტეტის აკადემიკოსები: კ. კეკელიძე, ვ. თოფურია, გ. ჯიბლაძე, ა. ბოჭორიშვილი, ა. ბარამიძე. პროფესორები: ს. ყაუხჩიშვილი, ვ. კოტეტიშვილი, მ. ზანდუკელი, მ. გოგიბერიძე, რ. ნათაძე, გ. როგავა, გ. ხავთასი, გ. ბაქრაძე, ს. კაკაბაძე, ლ. მელქისეთ-ბეგი, ა. ჩხეიძე, ე. ბურჭულაძე, ალ. ფირცხალაიშვილი, კ. მეძველია. დოცენტები: შ. ძიძიგური, შ. სიხარულიძე, ლ. ციხისთავი, ქს. კვანტრე, გ. ჩაჩანიძე, მ. მენაბდე. უფროსი მასწავლებლები: დ. ჩხეიძე (დია ჩიანელი), თ. ჭუმბურიძე, ტრ. ჯაფარიძე, მ. აბრამიშვილი, ა. ბრეგვაძე. ინსტიტუტში მოწვეული იყვნენ აკადემიკოსები: ა. შანიძე, დ. უზნაძე, შ. ნუცუბიძე, ნ. ბერძენიშვილი და პროფ. ს დანელია". „ჩვენ ვესწრებოდით მათს საჯარო მოხსენებებსა და აგრეთვე ლექციებსაც, რომლებსაც ისინი სხვადასხვა კურსზე კითხულობდნენ" (მ. ალავიძე). ლადო ასათიანის თანაკურსელები იყვნენ შემდეგში ცნობილი პროფესორები: მ. ალავიძე, ლ. კიკნაძე, გ. შალამბერიძე, ნ. დუმბაძე, ა. მიშველაძე, ჟურნალისტ-კრიტიკოსი შ. ქურიძე და სხვები, რომლებმაც გარკვეული წვლილი შეიტანეს ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების განვითარების საქმეში. ამათგან ყველაზე საუკეთესო მეგობრობა ლადოს გაუწია მიხეილ ალავიძემ. ნიკა აგიაშვილის გადმოცემით, „ლადოს სტუდენტობის ტოლ-ამხანაგებიდან მიშა ალავიძემ ერთ-ერთმა პირველმა გამოაქვეყნა ვრცელი მოგონება. მან მრავალი საინტერესო და ძვირფასი მასალა შეკრიბა და დაბეჭდა პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ". მიხეილ ალავიძეს

მეგობრები, IV კურსის სტუდენტები: ლადო ასათიანი, შოთა ქურიძე, მიხეილ ალავიძე. სურათი გადაღებულია 1938 წლის 16 მაისს.

ერთბაშად დაიბეჭდა... ეს იყო პოეტური აფეთქება", – წერს პროფ. მიხეილ ალავიძე. ეს იშვიათობაა, „ასეთი პოეტური აფეთქება მოხდა 10 წლის შემდეგაც, როცა მოწინავე შემოქმედისა და საზოგადო მოღვაწის სიმონ ჩიქოვანის თაოსნობით ჟურნალ „მნათობში" ერთბაშად გამოქვეყნდა პოეტი-აკადემიკოსის ანა კალანდაძის პირველი მარგალიტები".

ლადომ დაამთავრა ქუთაისის პედინსტიტუტი. მან მხოლოდ „დახურა კურსი" – ყველა სავალდებულო საგანი ჩააბარა, სახელმწიფო გამოცდები კი დატოვა. მიუხედავად ამისა, ის ითვლება ამ ინსტიტუტის პირველ კურსდამთავრებულად. აი, რას წერენ მის შესახებ: „ქუთაისის პედაგოგიურმა ინსტიტუტმა ოცდაათი წლის განმავლობაში სხვადასხვა დარგის მრავალათასი სპეციალისტი მოამზადა და გამოუშვა. ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა დიდმა ნაწილმა ფართოდ გაითქვა სახელი, მაგრამ მათ შორის ლადო ასათიანს ვერავინ შეედრება. იგი ხომ ნამდვილ სტიქიად მოევლინა ქართულ საბჭოთა პოეზიას. პედაგოგიური ინსტიტუტი ყოველთვის იამაყებს იმით, რომ მის კედლებში სწავლობდა და უმაღლესი განათლება მიიღო ლადო ასათიანმა" (მიხეილ ალავიძე. გაზეთი „ქუთაისი", 1972 წელი, 2 ოქტომბერი).

„ლადო ასათიანი პედაგოგიური ინსტიტუტის სახელოვან ისტორიაში ჯერჯერობით რჩება პირველ კურსდამთავრებულად" (გიორგი ჯიბლაძე, გაზეთი „ქუთაისი", 1967 წელი, 14 იანვარი).

მიხეილ ალავიძისა და გიორგი ჯიბლაძის ეს სიტყვები დღემდე ძალაშია. ლადო ასათიანი არის ჩვენი სასწავლო დაწესებულების საუკეთესო და ყველაზე სასახელო კურსდამთავრებული, რომელსაც აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტმა და ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტმა დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია მიუძღვნეს. დაიბეჭდა ამ კონფერენციის პროგრამა და მოხსენებათა თეზისები.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ხშირად ეფერება თავის აღზრდილს, ყოველთვის იგონებენ ლადო ასათიანს, ცდილობენ, მისი სახელი სიყვარულით შემოუნახონ მომავალ თაობას. ამ მიზნით, მათ არაერთი ღონისძიება აქვთ ჩატარებული: საიუბილეო დღეები, სამეცნიერო კონფერენციები, მნიშვნელოვან თარიღებთან დაკავშირებით უნივერსიტეტისა და საქალაქო გაზეთებსა და ჟურნალებში ლექტორ-მასწავლებლების მიერ წერილების გამოქვეყნება... 1981 წლიდან ლადო ასათიანის სახელი მიკუთვნებული აქვს ახალგაზრდა შემოქმედთა სტუდენტურ წრეს. 2003 წელს უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით უნივერსიტეტის (რექტორი პროფ. ა. ნიკოლეიშვილი) ეზოში დაიდგა ლადო ასათიანის ძეგლი (ბიუსტი ეკუთვნის გოგილო ნიკოლაძეს, კვარცხლბეკი - გივი თოდაძეს).

უნივერსიტეტის ლექტორ-მასწავლებელთა ერთი ჯგუფი ლადოს ძეგლთან.

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტმა (ასოც პროფ. ლუკა დვალიშვილის, პროფ ა. ნიკოლეიშვილის, პროფ. ნ. კუტივაძისა და ასოც. პროფ. ლ. ჩოგოვაძის შემადგენლობით) მოახერხა, რომ ეს დღე უნივერსიტეტში დიდი გულწრფელობით და სასიამოვნოდ ჩატარებულიყო. კონფერენციის მსვლელობის დროს უნივერსიტეტის „მწვანე დარბაზში" ფეხზე დასადგომი ადგილიც არ იყო, დარბაზი ვერ იტევდა ლექტორ-მასწავლებელთა, სტუმართა და სტუდენტთა „არმიას", რომელთაგან თითოეულს აღტაცებული განწყობილება ჰქონდა, ისინი ვერ მალავდნენ დიდ სიყვარულსა და პატივისცემას პოეტისა და მისი პოეზიისადმი. კონფერენციაზე მოსულმა ყველა ადამიანმა – სტუმარი იყო ის თუ მასპინძელი – დაათვალიერა მგოსნის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ფოტოკოლაჟი, სადაც ნაჩვენები იყო ლადოს ბავშვობის, სტუდენტობისა და შემდგომი პერიოდის სურათები თანატოლებსა და ოჯახის წევრებთან ერთად. ამ საქმის ორგანიზებისათვის მადლობა დაიმსახურა ფილოლოგიის დოქტორმა ქ-ნმა მანანა ჭიჭინაძემ.

კონფერენციის გახსნამდე უნივერსიტეტის ეზოში სტუმრებმა, უნივერსიტეტის ლექტორებმა და სტუდენტებმა ყვავილების გვირგვინით შეამკეს პოეტ ლადო ასათიანის ძეგლი, გადაიღეს სამახსოვრო სურათები. ესეც და შემდეგ მთლიანად სამეცნიერო კონფერენციაც გადაღებულ იქნა ტელევიზიით.

სამეცნიერო კონფერენცია გახსნა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა **გიორგი ღავთაძემ.**

პლენარულ სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა პროფ. ნესტან კუტივაძე, მოისმინეს პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილის, პროფ. ტარიელ ფუტკარაძის, ასოც. პროფ. ლუკა დვალიშვილის, ჩამოსული სტუმრის ნაილე მიქელაძის, პროფ. ოთარ ჭუმბურიძის ღრმაშინაარსიანი და საინტერესო მოხსენებები.

პროფ. ა. ნიკოლეიშვილი შეეხო ლადოს ბიოგრაფიის იმ მომენტს, როცა ოციოდე წლის ახალგაზრდა კაცმა ორმაგად იწვნია იმ საშინელებათა სიმწარე, იმხანად რომ დაატყდა თავს ჩვენს ქვეყანას. ეს იყო ჯერ დედის დაპატიმრება და მერე კი თავად მისი გარიცხვა ინსტიტუტიდან კონტრრევოლუციონერობისა და მოლაყბეობის ბრალდებით, ლადოს ამაო სიარული ინსტანციიდან ინსტანციაში ინსტიტუტში აღდგენაზე, მისი განცდები...

ბათუმელმა სტუმარმა ნაილე მიქელაძემ წარმოადგინა ლადო ასათიანის ტკივილებით აღსავსე პოეტური სამყარო.

ასოც. პროფ. ლუკა დვალიშვილმა ყურადღება გაამახვილა ლადო ასათიანზე, რომელმაც საქართველოს წარსული ისტორიის დამამშვენებელი გმირების დაუვიწყარი შთამბეჭდავი გალერეა შექმნა თავის პოეზიაში და ქვეყანას უამთააღმწერლისა და ნამდვილი მემატიანის სახით მოევლინა.

აქვე, ამავე დარბაზში, პლენარული სხდომის დროს, პროფესორმა **მარინა ქაცარავამ** გააკეთა მიხეილ ალავიძის წიგნის „ლადო ასათიანის ცხოვრება და შემოქმედება" პრეზენტაცია, ისაუბრა მისი შექმნის ისტორიაზე, მოკლედ შეეხო ამ წიგნში გამოქვეყნებუ-

ლადო ასათიანი - ჩვენი სასწავლო დაწესებულების სიამაყე

„ვისაც მფარველად მუზა ჰყოლია, უსვდავი იყოს სახელი მისი"

ბათუმელი სტუმრები გვირგვინით ამკობენ ლადოს ძეგლს

ლი სტატიების შინაარსს. მსმენელებს გააგებინა, რომ აქ წარმოდგენილი მასალები პროფესორ მიხეილ ალავიძის ხანგრძლივი მუშაობის შედეგია, მასში შეტანილი ნაშრომები მკითხველს სიღრმისეულად დაანახებს ქართული პოეზიის დიდოსტატის – ლადო ასათიანის ცხოვრებასა და შემოქმედებას. სინანულით მოიგონა ამ წიგნის ერთ-ერთი შემდგენელი ასოც. პროფ. ქეთევან დეკანოზიშვილი, რომელიც სულ ერთი წელია, რაც ჩვენ გვერდით აღარ არის. ქ-ნი მარინა ქაცარავას გამოსვლას მოწონებით შეხვდა დამსწრე საზოგადოება. ამ წიგნმა სტუდენტებისა და ლექტორ-მასწავლებლების განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია.

შესვენების შემდეგ კონფერენციამ ორ სექციად განაგრძო მუშაობა. სექციებში დამატებით 20 მოხსენება იქნა მოსმენილი. ვერ დავუკარგავთ შრომას უნივერსიტეტის პროფესორებს: **გია ხოფერიას, ზეინაბ კიკვიძეს, ნატო გულუას, ნორა ნიკოლაძე–ლომსიანიძეს, ლელა ჩოგოვაძეს, ომარ გვეტაძეს, სულხან კუპრაშვილს, ლეილა აბზიანიძეს, თენგიზ გუმბერიძეს, მანანა ჭიჭინაძეს, სალომე გუმბერიძეს, მარიამ მარჯანიშვილს, რუსუდან საღინაძეს, ნაზი ხელაიას, მერაბ კვიცარიძეს, ციური ფხაკაძეს, ამ სტრიქონების ავტორს, ჩამოსულ სტუმრებს: ელზა ფუტკარაძეს, ციალა მესხიასა და ლალი ურდულაშვილს,** რომლებიც საინტერესო მოხსენებებით წარსდგნენ მსმენელთა წინაშე.

განსაკუთრებით საინტერესო და სამხიარულო მოსასმენი იყო ლადო ასათიანის პრემიის პირველი ლაურეატის, ჩვენივე უნივერსიტეტის პროფესორის, კონფერენციის ერთ-ერთი სექციის თავმჯდომარის, **ომარ გვეტაძის** მოხსენება „ლადოს პოეზიის ლირიკული ადრესატები". „მგოსანს არაერთი ლექსი აქვს მიძღვნილი ქართველი პოეტებისადმი, ქართული კულტურის მოღვაწეებისადმი, რომლებშიც კალმის ერთი მოსმით ამბობს პოეტი იმ სათქმელს, რასაც ვრცელი გამოკვლევები სჭირდება", – თქვა ბატონმა ომარ გვეტაძემ, მაგრამ პროფესორის გამოსვლიდან საამო იყო სასმენლად ლადო ასათიანის ფუნაგორიები და სალაღობო პოეზია, რომლებიც ჩვენ ამ სხდომაზე მოვისმინეთ. აქვე ბ-ნმა ომარმა კონფერენციის მონაწილეებს წაუკითხა საკუთარი ლექსი „ასათიანის ქუჩაზე", რომელიც სპეციალურად ამ დღისთვის დაუწერია. როგორც ვიცით, ლადოს სახელი მიკუთვნებული აქვს ყოფილ წულუკიძის ქუჩის იმ მონაკვეთს, სადაც დაიბადა ლადო ასათიანი. გთავაზობთ ნაწყვეტებს ამ ლექსიდან:

„როცა გავყვები ფეხით ასათიანის ქუჩას,
მაშინ სამყაროს თითქოს ბოლო მართლაც არ უჩანს...

- -

ასათიანის ქუჩაზე ხეები გვანან სანთლებს,
რომ გზა გვასწავლონ, როდესაც შეგვაღამდება სადმე".

ან კიდევ:

„თითქოს მამხნევებს ლექსებით და აღარა მაქვს დარდი,
როცა გაკრთება ქუჩაზე ასათიანის ლანდი,
უხდება ვერცხლის ქამრად, არც გვერდით უხვევს ურჩად,
ქუთაისს უბერებელი ასათიანის ქუჩა."

დამთავრდა კონფერენცია, მაგრამ ჩემს გონებაში რამდენიმე დღე ის კიდევ გრძელდებოდა, ჩემი აზროვნება კვლავ იმ საკითხებს დასტრიალებდა, კვლავ ვაგრძელებდი ფიქრებს თითოეულ გამომსვლელზე, მათს მოხსენებებზე. რამდენი შრომა გაუწევიათ და რა გულდაგულ უმუშავიათ წარმოსადგენ საკითხებზე, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ...

ვინ ბარდნალაში წასულა პოეტის სახლ-მუზეუმის დასათვალიერებლად და შთაბეჭდილებათა წიგნის გასაცნობად, ვინ – აბასთუმანში, რომ მოენახულებინა პოეტის პალატა, სადაც ამ დროს აღმოუჩენია ე. წ. „კოტოშები", „რომელთაც აქტიურად ხმარობდნენ პაციენტისათვის", ვის სიზმრადაც კი გადაქცევია ახალგაზრდა პოეტი, ვის განმეორებით თავიდან ბოლომდე უკლებლივ წაუკითხავს ლადოს ლექსები და პოემები და სრულიად ახალი გრამატიკული ფორმები აღმოუჩენია მგოსნის პოეზიაში, ვის ამ ლექსებში „პოეტური ეშმაკობისათვის" მიუგნია და ვის – სიტყვათქმნადობის მარჯვე ხერხებისათვის, ვის ავტორისეული პოზიციის რეპრეზენტაცია გაურკვევია და ვის ქართველი პოეტების გამონათქვამები შეუგროვებია ლადო ასათიანზე, ვინ ლადოს თანამედროვეთა თვალით დაგვანახა ახალგაზრდა მგოსანი, ვინ არ დაუკარგა ლადოს ლეჩხუმური დიალექტის სიყვარული და კონფერენციას წარმოუდგინა პოეტის ჩაწერილი რამდენიმე დიალექტური სიტყვა, რომლებთაც სავსებით სამართლიანად ადგილი მიხეილ ალავიძის „ლეჩხუმურ ლექსიკონში" აქვთ მოპოვებული. ვინ ჩვენი პოეტი ჟამთააღმწერლისა და ჭეშმარიტი მემატიანის სახით წარმოგვიდგინა, ვინ ქუთაისი გაიხსენა ლადოს მოღვაწეობის პერიოდში, ვინ ლადოს საბავშვო ლირიკას შეეხო და ვინ – მგოსნის პოემებს, ვინ ლადო ქართულ ფოლკლორთან დააკავშირა და ვინ ისაუბრა ლადოს ნარატივზე, ვინ ლურჯისა და ცისფრის სიმბოლიკა განიხილა მის პოეზიაში და ვინ – თბილისი და ფიროსმანი, ვინ პოეტისა და პოეზიის ურთიერთმიმართების საკითხს შეეხო... ფაქტი ერთია, ყველა გამომსვლელი საქმის სიყვარულით საუბრობდა და ყველას წარმოდგენილი მასალა მეცნიერულ დონეზე იყო შესრულებული.

დიდი რომ იყო ახალგაზრდა ლადო, ეს კარგა ხანია ვიცოდი, მაგრამ ამის შემდეგ კიდევ მეტად დიდი გახდა ის ჩემს თვალში, უკვდავი რომ იყო ლადო ასათიანი, ეს დიდი ხანია ვიცოდი, მაგრამ ამის შემდეგ ის სულ ცოცხლად წარმომიდგება. სწორად წერდა მირზა გელოვანი: „ტყუილად ამბობენ, სიკვდილია ყველაფრის დაბოლოებაო. კაი ყმა, კაი ვაჟკაცი სიკვდილის შემდეგაც იცოცხლებს" და, როცა ამდენი პროფესორი უდიდესი სითბოთი იხსენებს 74 წლის წინ გარდაცვლილ უკვე 100 წლის ლადო ასათიანს, ის, მართლაც, დღესაც ცოცხალია და არც არასოდეს მოკვდება. ეს ეროვნული სამეცნიერო კონფერენციაც ლადო ასათიანის ცოცხალი ძეგლი და სიცოცხლის გაგრძელება იყო.

ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის შეჯამების დროს გამოითქვა აზრი – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაწესდეს დღესასწაული – ლადოობა.

ეს მოსაზრება იმ დიდი სიყვარულის გამოხატულებაა, რომელიც ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ლექტორ-მასწავლებლებმა გამოთქვეს ერის რჩეული პოეტის, ლადო ასათიანის, დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე.

იზოლდა რუსაძე
12 აპრილი, 2017 წელი

რეცენზია წიგნზე მიხეილ ალავიძე, „ლადო ასათიანის ცხოვრება და პოეზია"



ლადო ასათიანის იუბილეს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი ხელდამშვენებული შეეგება. საიუბილეო დღეებამდე რამდენიმე ხნით ადრე ქართულმა ლინგვისტურმა საზოგადოებამ უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით მნიშვნელოვანი საჩუქარი მიიღო. გამოვიდა წიგნი – მიხეილ ალავიძე, „ლადო ასათიანის ცხოვრება და პოეზია". ამ წიგნის პრეზენტაცია გაიმართა ლადოს 100 წლის აღსანიშნავ საიუბილეო სამეცნიერო სესიაზე.

წიგნში წარმოდგენილია პროფესორ მიხეილ ალავიძის მთელი სიცოცხლის განმავლობაში დაწერილი და შემდეგ სხვადასხვა დროს სხვადასხვა ჟურნალსა და გაზეთში გამოქვეყნებული სტატიები თავის თანაკურსელ პოეტ ლადო ასათიანზე.

ამ წიგნის ყურადღებით გაცნობის შემდეგ შეიძლება გავაკეთოთ ასეთი დასკვნა: ბ-ნ მიხეილს გულდასმით შეუსწავლია პოეტის ბიოგრაფია, შეუგროვებია უცნობი საარქივო და მემუარული მასალები, ყურადღებით გასცნობია ლადოს პოეზიის შემფასებელ მწერალთა და მეცნიერთა მოსაზრებებს, თვითონაც გამოუკვლევია ახალგაზრდა მგოსნის სიცოცხლის ყოველი დღე, მისი პოეზიის თავისებურებები და ყველა მასალა გამოუქვეყნებია პერიოდულ პრესაში. ამის შესახებ აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე წერდა: მიხეილ ალავიძე და ლადო ასათიანი „ერთად სწავლობდნენ, განუყრელი მეგობრები იყვნენ და არავის გაუკეთებია ლადო ასათიანის ხსოვნისათვის იმდენი არც ადამიანობის, არც დაფასების მხრივ, რამდენიც დღეს უკვე ცნობილმა მეცნიერმა მიხეილ ალავიძემ გააკეთა თავისი საყვარელი მეგობრის შესახებ. მისი ყველა სტატია ერთ წიგნად რომ შეკრა, საკმაოდ ვრცელი მონოგრაფია გამოვა. უნდა ვეცადოთ, რომ ეს მონოგრაფია რაც შეიძლება მალე დაიბეჭდოს ცალკე წიგნად. სხვა ავტორი, უფრო ძლიერი, არ მეგულება. მიხეილ ალავიძის სახით ლადოს ჰყავს მისი შემოქმედებისა და ცხოვრების ზუსტად მცოდნე, ენერგიული მკვლევარ-მეცნიერი, თან ცოცხალი მემატიანე" (გ. ჯიბლაძე, ჟურნალი „ცისკარი", 1972, №12). უნდა აღვნიშნოთ, რომ წიგნის გამოცემის საკითხზე მიხეილ ალავიძე მუშაობდა, თუმცა თავის სიცოცხლეში მან ეს ვერ მოახერხა.

ასოცირებულმა პროფესორებმა **ქეთევან დეკანოზიშვილმა** და **იზოლდა რუსაძემ** ეს ფასდაუდებელი მასალა ლადო ასათიანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ერთ წიგნად შეკრეს, რითაც წარმოაჩინეს თავიანთი ლექტორის, პროფესორ მიხეილ ალავიძის მიერ გაწეული ღვაწლი. კერძოდ: გულდასმით მოძებნეს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში გაბნეული სტატიები, გამოსაცემად მოამზადეს, ლიტერატურულ-ენათმეცნიერული განხილვები და კომენტარები დაურთეს და ამ გზით შექმნეს მონოგრაფია **მიხეილ ალავიძე**, „ლადო ასათიანის ცხოვრება და პოეზია".

წიგნი 250 გვერდს შეიცავს. ნაშრომს წამძღვარებული აქვს ქეთევან დეკანოზიშვილისა და იზოლდა რუსაძის შესანიშნავი სტატიები: პროფესორი მიხეილ ალავიძე – ლადო ასათიანის ბიოგრაფი და შემოქმედების მკვლევარი (ი. რუსაძე) და ლადო ასათიანის პერსონოლოგიური პორტრეტი „ვინც კაცი იყო და ლექსად იქცა" (ქ. დეკანოზიშვილი). შეუძლებელია არ გაგვაოცოს ამ ორი ავტორის მიერ რუდუნებით მოპოვებულმა მასალებმა ჩვენი ერის საამაყო შვილის – ლადოს შესახებ. მათ საფუძვლიანად შეუსწავლიათ ეს ნაშრომები (სულ 33 სტატიაა, რომლებიც 1960-1996 წლებშია გამოქვეყნებული) და განულაგებიათ ამ შესანიშნავ წიგნში, რომელიც ლადო ასათიანის ცოცხალი ძეგლია. ეს ძეგლი პოეტს ჯერ მიხეილ ალავიძემ დაუდგა და შემდეგ – ქეთევან დეკანოზიშვილმა და იზოლდა რუსაძემ, როცა შთამომავლობას შემოუნახეს მრავალ სხვადასხვა ჟურნალსა და გაზეთში გაბნეული ეს საინტერესო მასალა.

ვისაც უნდა სიღრმეში გაეცნოს ჩვენი ერის სასიქადულო მგოსნის ლადოს ხანმოკლე ცხოვრების მნიშვნელოვან დეტალებს, მან აუცილებლად უნდა წაიკითხოს ეს წიგნი, რომლის რედაქტორები არიან **ავთანდილ ნიკოლეიშვილი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი და **თეიმურაზ ლანჩავა** – მწერალი, საქართველოს მწერალთა კავშირის იმერეთის განყოფილების ხელმძღვანელი, საქართველოს მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი.

პროფესორი
მარინა ქაცარავა

პროფესორი
ლეილა აბზიანიძე

შოთა ზოიძე



მრისხანე ზარი

ვწერ ამ ლექსს გალაკტიონი,
თბილისელ - ქუთაისელი.
გ.ტაბიძე

მე ბათუმიდან მამულის ზარებს ვარისხებ.
ნება მომეცით, ჩემი უფალი ვახსენო.
მე ჩემს ბათუმში ვარსკვლავს არავინ გამიხსნის,
ჩემი ვარსკვლავი ჩემს ქუთაისში გახსენით.

ჩემს ქუთაისში რაკი დუქნები გადაწვეს,
მე მას ვუტოვებ ჩემს წიგნებსა და ნაწერებს.
მე ჩემს ბათუმში ჯვარსაც არავინ გადამწერს,
თუ დამწერთ, ჯვარი ჩემს ქუთაისში დამწერეთ.

მის ავისმდომელს თვალში სინათლე ჩაუქრეს.
მე ქუთაისმა ცისკარი შემომაშუქა.
მე ჩემს ბათუმში ვარდებს არავინ მაჩუქებს,
თეთრი ვარდები მე ქუთაისმა მაჩუქა.

მისი ნათელი გელათისაკენ მომიძღვის,
მისი ნათელი ბაგრატისაკენ მომიძღვის,
მე ჩემს ბათუმში ლექსებს არავინ მომიძღვნის,
ბრწყინვალე ლექსი ჩემს ქუთაისში მომიძღვნეს.

ესა ვარ, რაც ვარ, არც არაფერი მეძრახვის.
ბათუმი მტკივა. მინდა რომ ყველამ იცოდეს.
მე ჩემს ბათუმში პოეტს არავინ მეძახის.
მე ქუთაისში დიდი პოეტი მიწოდეს.

მე ვარ უხორცო, მხოლოდ და მხოლოდ სული ვარ.
ცრემლი ვარ, ცრემლი, შენი ვაზის და ვენახის.
ზოგს რომ ჰგონია, ბათუმში ჩამოსული ვარ,
მე იმერეთი „ჩემს ქუთაისელს" მეძახის.

მე ქუთაისში დავიარები ამაყად,
იქ ჩემი ძმები უჩემოდ დიდხანს ვერ ძლებენ.
მე იმერეთში მტერი არავინ არა მყავს,
თქვენ ჩემი მტრები ჩემს აჭარლებში ეძებეთ.

მწიფეა ჩემი მეტაფორების ყურძენი,
ცამდე ამწია შენი კოცნების ვულკანმა,
ბათმელ ქალებს ოქროს ლექსები ვუძღვენი,
ყველაზე უფრო იმერელ ქალებს ვუყვარვარ.

მწვანე ყვავილა შროშანებს კარავს გაუშლის,
როგორც ზღაპარში, იყო და არა იყო ვით.
ერთ მშვენიერ დღეს,რომ დავიკარგო ბათუმში,
ჩემს ქუთაისში საპოვნელასთან მიპოვეთ.

მე ქუთაისში გვირგვინად მადგას ღირსება.
მე ქუთაისში სულ გრაალივით ვივსები.
მე პოეტი ვარ, შენ რომ გიყვარდა, ისეთი,
მე პოეტი ვარ - ბათუმელ_ქუთაისელი!

აგრაფინა კისკისა

აგრაფინა კისკისა XIX საუკუნის ქუთაისელი ლამაზმანი აგრაფინა ჯაფარიძეა, რომელიც ტარიელ დადიანის მეუღლე იყო. 1881 წელს იგი მიხაი ზიჩის სალონში „ვეფხისტყაოსნის" ილუსტრაციების ცოცხალ სურათებში ნესტანს განასახიერებდა. აქ ნახა იგი რუსეთის საიმპერატორო კარის ნათესავმა, იმპერატორის ბრძანებით მეტროპოლიდან ქუთაისის ცხენოსანთა რაზმის უფროსად გამოძევებულმა, გერმანელმა პრინცმა ოლდენბურგმა. იგი ისე მოიხიბლა მისით, რომ ქმარ-შვილიან ქალს ხელი თხოვა. აგრაფინამ იუარა, მაგრამ ძალიან მდიდარმა პრინცმა მის ქმარს ასტრონომიული თანხა შესთავაზა. აგრაფინა ქმარმა პრინცს მიათხოვა, რომელთანაც ექვსი შვილი შეეძინა.

პრინცმა მშვენიერ მეუღლეს თვალსაჩინო ადგილას ვარდისფერი სასახლე აუშენა. იგი დღემდეა მოღწეული. ახლა იქ უშიშროების სამსახურია. ბალახვანში ააგო ღვინისა და კონიაკის ქარხანა, რითაც კიდევ უფრო გამდიდრდა.

„აგრაფინა კისკისა დადიანმა პრინცს მისცა". ასე გააუკვდავა მშვენიერი აგრაფინა კისკისა ხალხურმა ლექსმა. მეც გამოვიხმე წარსულიდან მისი აჩრდილი.

ერთხელ რიონისპირ ქარმა ისე გამლახა,
მომელანდა ლამაზი აგრაფინა კისკისა.
და როცა ხელი ჩამოვართვი ბალახვანს,
ჭაშნიკი მომაწოდა საკუთარი ღვინისა.

მხილველს აგრაფინასი თავი არ მაქვს სუფრისა,
რომელი პრინცი მე ვარ, იმედი მაქვს რისკისა.
მადლობელი ვიქნები ბედისა და უფლისა,
თუ კი გადავეყრები აგრაფინა კისკისას.

აგრაფინა კისკისა, აგრაფინა კისკისა,
ციდან ჩამოყვანილი, ბროწეულის ყვავილი,
მიდიოდა წყლისპირსა, მიდიოდა წყლისპირსა,
წყაროსავით კისკისა, ნაზი და საყვარელი.

აგრაფინა კისკისა დადიანმა გაყიდა,
კრავივით კანკალებდა იმერული წყალ-ჭალა,
ამისთანას არაფრით არ იქმოდა ყაყიტა.
ვეღარ ჩამოვირეცხავთ რა სირცხვილიც გვაჭამა.

დადიანმა გაყიდა აგრაფინა კისკისა,
ზარენკაუდ მონათლეს საქართველოს ასული.
ვერაფერი გავიგე დადიანის რისკისა,
რომლითაც შეარცხვინა დიდებული წარსული.

აგრაფინა კისკისა, წყაროსავით ანკარავ,
ჩემი გული საწყალი დღეიდან შენი ტყვეა.
იმ ახვარმა დღეიდან თითიც რომ დაგაკაროს,
მის გულში გაცივდება ჩემი ბერდენკის ტყვია.

მომენატრა ძალიან ბაღი და ბაღისკიდე,
გაცვეთილი რითმაა ყაყაჩო და ხარაჩო.
აგრაფინა კისკისა თუ არ გამოვისყიდე,
ჯორჯაძის და-ძმებივით წყალწითელამ
დამახრჩოს!

როცა ვნახე მე მისი ვარდისფერი სასახლე,
გაბრწყინება მეგონა იმერული ცისკრისა,
ღმერთო, ქუთაისში მალე გადამასხლე,
ღმერთო, დამასიზმრე აგრაფინა კისკისა!

ამაოების სისტემური დაფუძნება ბადრი ფორჩხიძის ფილოსოფიაში

ამა წლის 30 მარტს, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მწვანე დარბაზში", გაიმართა საჯარო ლექცია თემაზე „ამაოების ფილოსოფია", რომელიც წაიკითხა ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა, ფილოსოფია-ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებულმა პროფესორმა ბადრი ფორჩხიძემ. ღონისძიებას ესწრებოდნენ სხვადასხვა დარგის დამსახურებული სპეციალისტები, მაღალი სამეცნიერო კვალიფიკაციის მქონე ლექტორები, ეროვნული მოძრაობის წევრები და სტუდენტები, რომელთა მხრიდანაც აღნიშნულმა ლექციამ დიდი მოწონება დაიმსახურა. უსაზღვრო ინტერესის ფონზე, რაც ბადრი ფორჩხიძის საუბარმა და საკითხის აქტუალურობამ განაპირობა, მსმენელებს არაერთი კითხვა გაუჩნდათ, რომელ კითხვებზეც ფორჩხიძემ საინტერესო და ამომწურავი პასუხები გასცა.

ეზოთერული პერცეფციის ცხოველმყოფელი სიშმაგით, ბ.ფორჩხიძე ჭეშმარიტების დაუფლების სტადიაშია. ის იდეალისტურ საფუძვლებზე დგას, მაგრამ ცალსახად ვერ ვიტყვით, რომ იდეალისტია; რამდენადაც მისი ფილოსოფია მატერიალისტურ ნიუანსებს შეიცავს, იმდენადვე შუამავლის ფუნქციას ითავსებს ფორჩხიძე და მთელის ორი გაყრილი ნაწილისათვის კვლავ განუყრელობის დაბრუნებას ცდილობს. ის სვამს კითხვას „ღირდა ამად?!" და აზროვნების უსასრულო ლაბირინთში იწყებს სვლას, სადაც ქაოტურ მდგომარეობაში მყოფ ცალკეულ ჭეშმარიტებებს სძენს ესთეტიკურ მშვენიერებას და სისტემურ გამოხატულებას ანიჭებს.

ბ. ფორჩხიძე უფრო მეტაფიზიკოსია, ვიდრე ეგსისტენციალისტი, რაც განაპირობებს მისი ვოლუნტარისტური ბუნების ფატალისტურად წარმოჩენას... ეს აპრიორისა და აპოსტერიორის განუყრელობაა.

ჩემის აზრით, ფორჩხიძე კანტიანელია, რასაც მისი ტრანსცენდენტალური მისწრაფებები ცხადყოფს.

შეუძლებელია, რომ ავტორიტეტებს აბსოლუტურად გაექცეს მოაზროვნე, თუმცა ამ ჭეშმარიტებათა მრავლობაში გამოკვეთოს და თვითმყოფადი ხელწერით დანერგოს გარკვეული ჭეშმარიტება, რომელსაც ორიგინალური სისტემის სახე ექნება - ეს სავსებით შესაძლებელია, მაგრამ საოცრად რთულიც!

ყველაფერი, რის წარმოდგენასაც ადამიანის გონება შეძლებს, სამყაროში არსებული - მარადიული უცვლელობაა, ამდენად, ყოველი სიახლე, სინამდვილეში, სულაც არ არის სიახლე, ეს ყოველივე - დაუცხრომელი ინტერპრეტაციების სფეროა.

ბ. ფორჩხიძის გონების წიაღში ისახება სისტემა - ამაოების ფილოსოფია!

სწორედ ეს არის ადამიანური აზროვნების ამაღლების აპოგეა, როცა სამყაროში გაფანტულ ჭეშმარიტებათა გარკვეულ ნაწილს დაეუფლები და წარმოადგენ თვითმყოფადი ინტერპრეტაციით, - მთლიანობის სახით.

ამაოების პოზიტიური და ნეგატიური მხარეები, ჯერჯერობით, ფორჩხიძეს გამიჯნული არ აქვს. ის მყარი არგუმენტებით ასაბუთებს სკეპტიციზმისა და ამაოების თვისობრივ განსხვავებას, რაც დროის აბსოლუტურობის აუცილებლობას მოითხოვს. აქ დრო სივრცული მთლიანობა არ არის, სივრცე გახლავთ დროული მთლიანობა!

მახსენდება მარკუს ავრელიუსის სიტყვები: „კაცი, რომელიც სიკეთედ თვლის მხოლოდ მას, რაც დროულია, და რომლისთვისაც სულერთია, რამდენ ხანს იმოქმედებს გონების თანახმად ან რამდენ ხანს უჭვრეტს ამქვეყნიურ ამაოებას, - ამგვარი კაცი არ უფრთხის სიკვდილს..." ფორჩხიძე სწორედ ასეთ ადამიანთა კატეგორიას მიეკუთვნება, რადგან მისი წინსწრაფულობა ნაკარნახებია გონების აბსოლუტურობით, დროის თავისთავადობით და ამაოების გარდაუვალობით. მისთვის წარსული უცილობელი საშუალებაა, აწმყო - ფორმალური მდგომარეობა, ხოლო მომავალი - ჭეშმარიტი შთამაგონებელი.

ბ. ფორჩხიძისათვის ამაოება გონებით განსჯილი და გრძნობით განცდილი წარსულია, რომელიც მიმართულია აბსტრაქტულ განვენილობაში მყოფ მომავლისაკენ... მისი მონადა დისკურსიული მეთოდით პერსონალისტურია, რაც იმთავითვე უშვებს პანთეისტური მთლიანობის ასახვას და გვაფიქრებინებს, რომ ფორჩხიძე ლაიბნიცის საფუძვლებზე მყარად დგას. ინდივიდუალიზმით მიღწეული სამყაროს აპოთეოზი, ქმნის იმაგინაციურ სიუჟეტს, სადაც აპათიური სუბლიმაციით მიიღწევა ეზოთერული სისავსე. სუბსტანციური მოცემულობები, ფორჩხიძისათვის, რელატიურია და ასახვის ფორმალიზაციისაკენ მისწრაფვის.

და მაინც, სად გადის ზღვარი ადამიანის შესაძლებლობებსა და ობიექტურად არსებულ ჭეშმარიტებას შორის?! შეუძლია კი ადამიანს მოიხელთოს სამყარო და მოვლენებისა თუ ცნებების სახით გამოხატული ფორმალური ჭეშმარიტებებისათვის შექმნას უნივერსალური სისტემა?! შესაძლებელია, რომ განისაზღვროს ამაოების სტრუქტურა და მისი გარდაუვალობის აუცილებლობა უეჭველად მივიჩნიოთ?!.. ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ბადრი ფორჩხიძეს მივანდოთ, რომელიც აზრში ჩაგრძნილი, დაუცხრომელი ენერგიისა და შესაძლებლობის მქონე მოაზროვნეა.

ვისურვოთ, რომ ამაოების ფილოსოფია ჩამოყალიბდეს სრულყოფილ სისტემად, რომლის წიაღსვლებში წვდომისას, სიმულაციური მანევრირებებით, ფორჩხიძეს გააჩნია სიმულაკრი. „სიმულაკრი არასოდეს არ არის ის, რომელიც ფარავს ჭეშმარიტებას - ჭეშმარიტება არის სწორედ ის, რომელიც ფარავს, რომ იქ არაფერი არ არის... სიმულაკრი არის ჭეშმარიტი!" - როგორც ჟან ბოდრიარი იტყოდა - ეკლესიასტეს პირით...

გორგანელი
(ლევან გოგაბერიშვილი)
ფილოსოფიის სპეციალობის III კურსის სტუდენტი

მოკრძალებული ქალბატონი

მხატვრული ნარკვევი (იბეჭდება შემოკლებით)

ქ-ნი ეთერ ორმოცაძე-მახარაძე

ლანჩხუთელმა გოგონამ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედინსტიტუტში წარჩინებით დაამთავრა ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი ფიზიკის სპეციალობით. შემდეგ ქუთაისში გათხოვდა და მუშაობაც აქვე, უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრაზე, დაიწყო უფროს ლაბორანტად. ჩვენს კაბინეტებს სამიოდე სასწავლო აუდიტორია ყოფდა: სკკპ ისტორიის, მეცნიერული კომუნიზმის და ქართული ლიტერატურის ისტორიისა. ის ფილოსოფიის კათედრის უფროსი ლაბორანტი იყო, მე – ქართული ენისა.

უკვე სამი ქალიშვილის დედა იყო ეთერ ორმოცაძე-მახარაძე, როცა გავიცანი. ჯერ პატარები იყვნენ **ნინო, ნანა და ანა,** მაგრამ რომელი რომელს სჯობდა, ვერ იტყოდი. საოცრად ზრდილობიანი და მორიდებული ბავშვები ჩანდნენ. მე მეტად შავთვალა, დედის მსგავსი ნანა, მომწონდა და დერეფანში ჩავლილი თვალს ფილოსოფიის კაბინეტისაკენ გავაპარებდი, ხომ არ ჰყავს მოყვანილი-მეთქი, რომ დამენახა და მივფერებოდი. შემდგომ სამივე ასულმა ჩემს ხელში გაიარა. ჯერ ჩემი „საოჯახო აკადემია“ დაამთავრეს და მერე ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. დღეს სამივე დაოჯახებულია და ბედნიერად ცხოვრობენ თავ-თავიანთ ქმარშვილებში: ნინო – თბილისში, იურისტია, აქვს საკუთარი ადვოკატურა და არის არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა დაცვის“ ცენტრის დამფუძნებელი. ჰყავს ორი ქალიშვილი, რომელთაგან უფროსი ნათია პოლიციის აკადემიის წარჩინებული სტუდენტია. ნანამ ფარმაცევტობა აირჩია. ლანჩხუთში გათხოვდა და იქვე აფთიაქის გამგედ მუშაობს. ჰყავს ორი ვაჟი. ანა სტომატოლოგია. ცხოვრობს და საქმიანობს ქუთაისში. ჯერ მხოლოდ ერთ პატარა გიორგის ზრდის.

ქ-ნი ეთერის უკეთილშობილესი მეუღლე, მშენებელი ინჟინერი, ისიც გურული, **ენვერ მახარაძე** საქმიანი, მშრომელი, პატიოსანი, ოჯახისმოყვარული, ცოლ-შვილის გვერდით მდგომი მამაკაცია. რა არ გამოსდის ხელიდან, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ქალიშვილების გასამზითვებლად საკუთარი პროექტითა და თავისივე ხელით ახლადაგებული სამსართულიანი საცხოვრებელი სახლია ქ. თბილისში. სოფელში კი არანაირ საქმეს არ თაკილობს: მესაქონლეობა იქნება თუ მეფრინველეობა, მიწათმოქმედება თუ ხეხილის მოვლა-პატრონობა. მისი შრომის შედეგად ოჯახიც წელშია გამართული და ჭყონაგორის ცენტრში, ხალხის თავშეყრის ადგილზე, ჯიხეთის მონასტრის ძირში, ეკლარის ქვით აგებულ ორსართულიან სახლსა და ეზოს, სადაც მზეს ყოველდღიურად, დილიდან საღამომდე, ჭიშკრიდან კარგა მოშორებით, სახლამდე, თითა, საქაშმიშე თეთრი ყურძნის ტალავრისათვის თავისი ყველა სხივი გულუხვად დაუფრქვევია, სანაქებოდ უვლის და ოჯახსაც კარგი შესაძლებლობა აქვს, სულ ღია ჰქონდეს კარი სტუმრებისათვის, რომ საამაყოდ მოიხადონ დამხვდურის ვალი და გურული სტუმარმასპინძლობის წესი სრულყოფილად დაიცვან.

მიუხედავად უამრავი საქმისა, ხუთი შვილიშვილის ბებია ეთერს ქალიშვილებში ვერ გამოარჩევთ. როცა დედა და შვილები ერთად დგანან, ვერ მიხვდებით, რომელია დედა და რომლები – შვილები.

მთელი დღის განმავლობაში ქ-ნი ეთერი ქალაქში საქმიანობს. კორპუსიდან კორპუსში გადადის და გადმოდის, რომ ლექციები და პრაქტიკული მეცადინეობები ჩაატაროს. ღამით კი ისევ სოფელში მიდის.

– დაისვენე დღეს, არ წახვიდე, ხვალ დილით ხომ ლექცია გაქვს-თქო, რომ ეტყვი, პასუხი მაშინვე მზად აქვს.

– სოფელში ღამის საქმის მეტი რა არისო.

მეორე დილის ცხრა საათზე კი ისევ ლექციაზეა. რა ძალა და ღონე აქვს გარეგნობით ამ პატარა ქალბატონს, ეს ცალკე თემაა. ასეთი დატვირთული დღის წესრიგის მიუხედავად, ის არაფერს აკლდება. ყველგან დადის, ყველა ღონისძიებას ესწრება და ბოლომდე რჩება, მხოლოდ მოსაჩვენებლად არ მიდის. აქვს საკუთარი ღირსება. ყველას შემცვლელად შეუძლია იმუშაოს და საჭიროების შემთხვევაში ერთი მეცადინეობისთვისაც კი ჩამოვიდეს თავისი სოფლიდან. აქვს ბევრი დადებითი და მისაბაძი თვისება. არ იცის ცუდის დამახსოვრება, წყენასა და უსიამოვნო განწყობას გულში არ ჩაიდებს, სამაგიეროს მხოლოდ კარგით გადაიხდის, ნათელმხილველივით თითქოს ყველას სულსა და გულში იხედება, ვის რა მოეწონება და გაუხარდება, რა ეამება... არის მშვიდი, აუჩქარებელი, თავმდაბალი, უპრეტენზიო, მადლიანი, კეთილზნეობიანი...

ქ-ნი ეთერი არა მარტო რჩეული მეგობარია, არამედ – საუკეთესო მეგობრობის უიშვიათესი მაგალითიც. ამის დასტურად მხოლოდ ერთი სინამდვილის გამხელაც საკმარისია: 2004 წლის 22 დეკემბერს, I სემესტრის დასასრულს, ლექციების შემდეგ, როცა შინ მიმეჩქარებოდა, გამოუცდელმა ახალგაზრდა მძღოლმა დაარღვია მოძრაობის წესები და უმძიმესი დაზიანებით 21 დღე-ღამე ქალაქის № 1, ე.წ. „საღორიის“ საავადმყოფოში გავატარე. „მოჩქარეს მოუგვიანდესო“. მხოლოდ მამაზეციერმა მიხსნა და გადამარჩინა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩემი თავმდგომი თავისივე გადაწყვეტილებით და სურვილით ქ-ნი ეთერი იყო.

იდგა საშინელი პერიოდი. საავადმყოფოში რემონტი მიმდინარეობდა და იყო ხმაური, არ იყო შუქი და გათბობა. საავადმყოფო ჩვენი მიტანილი სანთლების შუქზე მუშაობდა. ასეთ სიტუაციაში ქ-ნი ეთერი შეღამებულში მორიდებულად შემოაღებდა ჩემი პალატის კარებს და დილამდე იქ რჩებოდა. რამდენიმე დღის შემდეგ, როცა აზრზე მოვედი და მივხვდი, რომ პალატაში მეორე მოსასვენებელი არ დგას, ჩემს საწოლთან ჩაცუცქებულ ქ-ნ ეთერს შევეკითხე:

– აქ ღამეს როგორ ათევ, სად წვები-თქო?

– თავმდგომს ავადმყოფის სუნთქვა არ უნდა გამოეპაროს, ამიტომ ასე ვარ მთელი ღამეო, – მიპასუხა მან.

ასე გაატარა 21 ღამე ქ-ნმა ეთერმა ჩემს პალატაში. დღე სოფელში, ქალაქში, უნივერსიტეტში, ჩემს სანახავად, ღამე ისევ ჩემთან...

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. თავს ვხრი მისი ადამიანობისა და გულითადობის წინაშე. ამას მხოლოდ გამონაკლისები თუ შეძლებენ, ყველას ასეთი მოქცევა არ შეუძლია, მით უფრო, როცა ხარ ქმარ-შვილით დატვირთული და საქმე არა მარტო ქალაქში, არამედ სოფელშიც უამრავი გაქვს და სოფელში ამ დროს გელოდება 80 წელს მიღწეული მამა – ოჯახის უფროსი, თავის დროზე რაიონში მოწინავე მეფუტკრე, დღესაც რომ სიყვარულით საქმიანობს თავისი პროფესიით, ოღონდაც ახლა ამ საქმეს საკუთარ ოჯახში აგრძელებს, უვლის ფუტკრის ათეულობით ბუკს, თავს ევლება ეზოში ჩაყრილ და თავგადაწებებულ, თავისივე ხელით მოწურული ღვინით სავსე ჭურებს. ბ-ნი მამიას გამოხდილი ფუტკრის ნობათითა და თაფლის არყით საახალწლოდ არაერთხელ ჩაუტკბარუნებიათ პირი ქ-ნი ეთერის კოლეგებსა და მეგობრებს.

ქ-ნი ეთერის ხელი ნამდვილად ეტყობა მის უმშვენიერეს ეზო-გარემოს ჭყონაგორაში – გურიის ამ პატარა, მაგრამ ლამაზ სოფელში. საუკუნოვანი, სხვასხვა ჯიშის ხეები, წლის ყოველ დროს წესისამებრ გასხლული და შეწამლული და ზაფხულზე სულ მუდამ ხილით დატვირთული... ხეებზე ჩამოკიდებული ხილის მოსაკრეფი საშუალებანი: „საკრეფელა“, „კაკვი“ და „საბერტყელი ჯოხი“ და ე. წ. „გიდლები“ – მოკრეფილი ხილის ჩასაწყობად... ხეების ძირში მოსასვენებლად და მოსაჩრდილებლად დადგმული ნაირფრად შეღებილი გრძელი სკამები... იქვეა ცივი წყლით სავსე ჭა „წოწინარით“, როგორც გურულები უწოდებენ. თითქოს ბოტანიკურ ბაღში ჩასულხართ, ისეა ეზო გალამაზებული ყველანაირი ყვავილითა და დეკორატიული მცენარეებით, მათ შორის იარუსებად გაკრეჭილი მარადმწვანე ბუჩქებითა და კამელიისა და ნაირ-ნაირი ვარდების კალათებით, ასევე, ეზოს მთელ სიგრძეზე ზიგზაგისებურად გაშენებული ზღვის ბალახით. ვფიქრობთ, ამას 10 კილომეტრში მდებარე შავი ზღვის ნოტიო ჰავაც უწყობს ხელს. ეზოში დაზუზუნებენ ფუტკრები და წუწნიან ნაირფერ ყვავილებს, რომ თაფლი დაამზადონ. სახლის გვერდით, მოფარებულში გადაკავებულ ეზოში, მწვანე მოლზე დასეირნობენ დედლები მათზე შეყვარებულ წითელქოჩრიან ორიოდე მამალთან ერთად, იქაურობას სხვა ელფერს სძენენ სხვადასხვა დროს გამოჩეკილი და სხვადასხვა ასაკის ყვითელგულა წიწილები თავიანთ დედებთან - კრუხებთან ერთად, მოჭახჭახე ციცრები და გაფხორილი ინდაურები თავიანთი ჭუკებით, მაგრამ ყველაზე საოცარი მაინც ფარშავანგია თავისივე პატარა ნამლევით. სამოსახლოს შუაზე ყოფს ანკარა ღელე სახელწოდებით „ციცოური“, რომელშიც ერთი ადგილიდან მეორე მხრისკენ ტანის რხევითა და გემივით მიემართება დედა იხვი ერთმანეთის უკან ჩამწკრივებული ჭუკებით. აქვე, ამ წკრიალა წყლით სავსე ღელეში, თითქოს ამ სულიერ არსებებთან შეხვედრა უნდათო, მოპირდაპირე მხრიდან მოცურავს თეთრი ბატი თავისი ბჟიტებით. ისინიც ერთმანეთის უკან გამწკრივებულან. იშვიათი სურათია... ვნატრობ, ნეტავ დროებით მაინც ვიყო მხატვარი, რომ ეს ყველაფერი ტილოზე გადავიტანო. კარგა ხანს ვუყურე ბუნების ამ საოცრებას, დავტკბი ამ სანახაობით და, მართალია, ვერ დავხატე, მაგრამ გონებაში ისე ჩამებეჭდა, სულ მუდამ მემახსოვრება. „ციცოური“ ორიოდე კილომეტრში იმავე სოფელში უერთდება მდინარე დამბას. აქვე, ამ ღელეზე სახელდახელოდ გადებული რკინის ხიდით, გადადიხართ ეზოს მეორე ნაწილში – საუკეთესოდ მოვლილ ვენახში, ყანასა და ბოსტანში, რომლებიც თვალუწვდენელ სივრცეზეა გადაჭიმული, გვერდებზე კი ისევ ნაირ-ნაირი ხილის ხეები ჩაუჭვება ამ ადგილებს. აქვე დგას ფუტკრის ღია ცისფრად შეღებილი ათეულობით სკა. სულს ატკბობს შაშვების, მერცხლებისა და სხვადასხვა ჯიშის ჩიტების გალობა და ჭიკჭიკი, სტვენა, „კაფე-თესესა“ და „ბიჭო გოგიას“ ძახილი, რასაც შუადღეზე ჭრიჭინობელების ჭრიჭინიც ემატება და მოულოდნელად მახსენდება „ვეფხისტყაოსნიდან“ ნესტან-დარეჯანის ცალკე აღსაზრდელად აგებული კოშკის ბაღი, რომელსაც ფარსადანთან ერთად პირველად იქ მისული ტარიელი ასე აღწერს:

„ბაღჩა ვნახე უტურფესი
ყოველივე სალხინოსა:
მფრინველთაგან ხმა ისმოდა
უამესი სირინოსა“...

ასეთი კოხტად მოვლილი და სულ მუდამ დაგვილი და დასუფთავებული სახლ-კარი და ეზო-გარემო თვალს სიამოვნებს, გულს უხარია და აქ ადამიანი სულიერად ისე ისვენებს, ამ „სამოთხიდან“ წამოსვლის სურვილი არ უჩნდება.

არ იფიქროთ, პატივცემულო მკითხველო, რომ ამ წერილის ავტორს აქ „კალამი გაექცა“, რა საჭიროა აქ თავის გრძნობებზე საუბარი ან ეზოს ასე სიღრმისეულად დახასიათება. მერწმუნეთ, ეს არ არის საკითხის სრულყოფილად წარმოდგენა. აქ კიდევ ბევრია ჩამოსათვლელი, მაგრამ ჩვენი გაზეთის ერთი გვერდი მეტს ვერ იტევს, ერთ ნარკვევში ეს ყველაფერი არ ხერხდება. ვინც სოფელს ოდნავ მაინც იცნობს, ამას დამიჯერებს. ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ყველამ კარგად დაინახოს, რა შრომატევადია სოფელში ქალბატონის საქმიანობა, რამდენი საქმე აქვს დიასახლისს და რა რთულ პირობებში უხდება ცხოვრება ჩვენს პერსონაჟს. ამავდროულად, როგორ ართმევს ის თავს ამას ყველაფერს.

დიდი ოჯახის დიასახლისობასთან, სამსახურსა და შვილების აღზრდასთან ერთად ქ-ნმა ეთერმა 1992 წლის ივნისში ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის სამეცნიერო საბჭოს წინაშე წარმატებით დაიცვა ფილოსოფიის მეცნიერების კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაცია თემაზე: „დეტერმინიზმის მეთოდოლოგიური მნიშვნელობა მეცნიერულ შემეცნებაში“ (მეცნიერ ხელმძღვანელი მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დიამატის განყოფილების გამგე აკადემიკოსი სერგი ავალიანი), თუმცა იმას ვერ უარყოფს, რომ ამ დროს ჯერ კიდევ ცოცხალი ჰყავდა დედა, რომელიც არა მარტო საშინაო საქმეებს აწესრიგებდა ძირითადად ოჯახში, არამედ ქ-ნ ეთერს სამივე ქალიშვილი გაუზარდა სასკოლო ასაკამდე და მათი ქალაქში სკოლაში შესვლის შემდეგაც ბებია საკუთარი სიცოცხლის დასასრულამდე ამ ბავშვებს არ აკლებდა თავის მზრუნველობას.

ქ-ნი ეთერი დღეს ფილოსოფია-ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორია. არის არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მათ შორის ორი სახელმძღვანელო და სამი მონოგრაფიაა. ამ წიგნებით სწავლობენ ჩვენი ბაკალავრები და მაგისტრანტები. ბოლო პერიოდში ქ-ნი ეთერი მუშაობს სივრცისა და დროის ფილოსოფიაზე და განზრახული აქვს ეს მნიშვნელოვანი საკითხი ხუთ ნაწილად გამოსცეს. უკვე წიგნად აქვს გამოცემული ამ თემის პირველი ნაწილი – სივრცისა და დროის თეორიათა განვითარების ეტაპები. ის მონაწილეობს ეროვნულ კონფერენციებში და ძალიან საინტერესო მოხსენებებითაც გამოდის რესპუბლიკის ფილოსოფიური საზოგადოების წინაშე. ასევე ღირებულია მისივე ხელმძღვანელობით შესრულებული სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომები, რომლებითაც ჩვენი ახალგაზრდები ყოველი წლის მაისში გამოდიან სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებზე.

ქ-ნი ეთერი არის მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა ეროვნული აკადემიის წევრი. ასევე – ფაზისის აკადემიის წევრი, სიამოვნებით ესწრება და არ აკლდება ამ აკადემიებში ჩატარებულ ღონისძიებებს. ძალიან უყვარს კითხვა, ერთი წუთითაც ვერ ნახავთ მოცლილს, ვერც – ხელცარიელს. ხელში სულ მუდამ ახლადგამოსული მხატვრული თუ სამეცნიერო ლიტერატურა უჭირავს, სისტემატურად იმაღლებს კვალიფიკაციას.

მიუხედავად ყველაფრისა, ქ-ნი ეთერი უკანდახეული ადამიანია. არასოდეს გაამჟღავნებს თავის სურვილს, არავის არაფერზე შეაწუხებს, მხოლოდ ცდილობს, ყველას ასიამოვნოს, კარგი გაუკეთოს, „მოყვრები შეიძინოს“, რადგანაც ზეპირად იცის შოთა რუსთაველის აფორიზმი „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“. ქ-ნ ეთერს ვუსურვოთ შემდგომი მეცნიერული წარმატებები, თავისი და თავისი ოჯახის წევრების ჯანმრთელობა, სიხარული, ბედნიერება და ყოველივე კარგი.

ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი ადამიანები.

იზოლდა რუსაძე

მეურნალები

ქ-ნი რუსუდან ირემაძე

დედაშვილურად, წყნარად და ტკბილად რომ დაგელაპარაკება, ტკივილიც ქრება, თავს უხერხულადაც კი გრძნობ და ფიქრობ, შეიძლება არც იყო საჭირო ქ-ნი რუსუდანის შეწუხებაო. ქ-ნი რუსუდანი კი მაინც, რაკი მის წინ აღმოჩნდი, უყურადღებოდ არ დაგტოვებს, წნევას გაგიზომავს, შესაბამის აბებს გადაგაყლაპებს, გულის წვეთებს შეაზავებს და დაგალევინებს, ათეულობით წლის მანძილზე დაგროვილ რჩევა-დარიგებებსაც გაგიზიარებს და გამოჯანმრთელებული ტოვებს ჯანპუნქტის ოთახს, მაგრამ გრჩება უდიდესი პატივისცემა აქ მომსახურე პერსონალისადმი, იმიტომ რომ მიგიღეს თბილად, თავი გაგრძნობინეს შინაურ ატმოსფეროში. ქ-ნი რუსუდანის სათნო შემოხედვაც მკურნალობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ასეთი მოპყრობით ჩვენი მედიკოსები ერთგვარი წამლის როლსაც ასრულებენ.

მახსენდება XIX საუკუნის ბოლო პერიოდისა და XX საუკუნის I ათწლეულების ჯანმრთელობის დაცვის მუშაკები, რომლებიც მარტო წამლით კი არა, არამედ თავიანთი ჯადოსნური სიტყვითაც კურნავდნენ ავადმყოფებს. ჩვენი სამედიცინო პუნქტის თანამშრომლებიც წინაპარი დამსახურებული მკურნალების ტრადიციებს ღირსეულად აგრძელებენ.

ჩემი სტუდენტობიდან დაწყებული აქ ბევრი პატივსაცემი პიროვნება საქმიანობდა და საქმიანობს დღესაც. არ დამავიწყდება ექიმი **ნელი მარჯანიშვილი,** რომელმაც პირველკურსელი სტუდენტები გაგვსინჯა, რომ აღრიცხვაზე ავეყვანეთ და სწავლის პერიოდშიც ყურადღებას არ გვაკლებდა. ჩვენი დღევანდელი ექიმი – ჭკვიანი და დაკვირვებული მკურნალი, ვისი გამოწერილი წამალიც აუცილებლად მალე დაგაყენებთ ფეხზე, **მაია ბურჯალიანი**. ექთნები, რომლებიც სამედიცინო პუნქტის გახსნის დღიდანვე მუშაობდნენ: **ცუცა რუსაძე** და **კუკურა ისაკაძე.**

აქვე წლების მანძილზე იმუშავა სიცოცხლით სავსე ექთანმა **ინგა ბიბიჩაძემ,** რომელიც სამედიცინო სასწავლებლის დამთავრებისთანავე აქ გამოაგზავნეს სამუშაოდ და, რომელიც თავის ყურადღებას ყველა პაციენტს თანაბრად უნაწილებდა, რითაც უზომოდ კმაყოფილი ჰყავდა მთელი კოლექტივი. ასეთი იყო უნივერსიტეტის თანამშრომელთა აზრი ამ საყვარელ გოგონაზე. შემდეგ მან აქვე, ჩვენთან, დაწყებითი განათლების ფაკულტეტი დაამთავრა, ოჯახი შექმნა და დღეს ორი შვილის დედა ქალაქის ერთ–ერთ საჯარო სკოლაში მასწავლებლად მუშაობს. დღეს მოქმედები: **მერი ავალიანი** და **ია ბახია,** რომლებიც გამოძახებისთანავე იმავე წუთში გამოჩნდებიან ამა თუ იმ კორპუსში, რომ უნივერსიტეტის ლექტორ-მასწავლებლებსა თუ სტუდენტებს საჭიროების შემთხვევაში უანგაროდ აღმოუჩინონ პირველადი დახმარება. **მერი ავალიანი – ჩხეიძისა,** მიუხედავად თავისი ასაკისა, არის ახალგაზრდული ენერგიით სავსე, დაუზარებელი, კეთილი, ავკარგიანი ქალბატონი. ცდილობს, ყოველ წუთს ყველას ასიამოვნოს თავისი საქმიანობით. ის პატივისცემით სარგებლობს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებში. ამ სამედიცინო პუნქტში ყველა კარგია, ყველა ამართლებს მედიცინის მუშაკის სახელს.

ამჯერად ექთან **რუსუდან ირემაძეზე** შევაჩერებთ ყურადღებას, რომელიც ყველა მის კოლეგაზე ასაკითაც უფროსია და უკვე რამდენიმე ათეული წელია ამ სამედიცინო პუნქტს ამშვენებს როგორც თავისი გარეგნობით, ისე – საქმიანობითაც.

ქ-ნი რუსუდანი 1932 წლის 10 იანვარს დაიბადა ცაგერის რაიონში მრავალშვილიანი გლეხის ოჯახში. ჯერ ცხუკუშერის საშუალო სკოლა დაამთავრა წარჩინებით, შემდეგ კი ქუთაისის სახელმწიფო სამედიცინო სასწავლებელი იმ იმედით, რომ მომავალში სწავლას სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში გააგრძელებდა. მისი დედმამიშვილები უმაღლესი განათლებით იყვნენ. ექიმიც ჰყავდათ ოჯახში, იურისტიც და პედაგოგიც. ქ-ნ რუსუდანს ექიმობა იზიდავდა, მაგრამ ბედმა, – როგორც თვით ჩვენი რესპონდენტი გვიამბობს, – ამ მიზნის განხორციელების საშუალება არ მისცა. სასწავლებლის დამთავრებისთანავე ის დაოჯახდა შალვა სვანიძეზე, ბინა ქ. ქუთაისში დაიდო და სამი შვილი: მარინე, მადონა და ლადო აღუზარდა სამშობლოს. სამივეს ინსტიტუტი დაამთავრებინა და შემდეგ შვილიშვილების აღზრდასა და უმაღლესი განათლების მიღებაშიც გარკვეული მონაწილეობა მიიღო. ერთ–ერთი შვილიშვილი – დათო კოხრეიძე, პროფესიით ეკონომისტი, საქართველოს შემოსავლების სამსახურში მუშაობს. მართალია, ქ-ნი რუსუდანი გულდაწყვეტილი იყო ექიმობაზე, მაგრამ ეს საქმე იმითი გამოასწორა, რომ შვილიშვილი გაზარდა ექიმად. დღეს მისი ანა კოხრეიძე თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარება „პედიატრის“ ექიმია. ეს ქ-ნ რუსუდანს დიდ აღფრთოვანებას ანიჭებს, უხარია და თავს ბედნიერად გრძნობს, მაგრამ ყველაზე მეტად დიდ ბებიას მაინც ის სიამოვნებს, როცა თავის შვილთაშვილებს: ხუთი წლის ელენესა და ორი წლის ნიკას ეფერება.

სამედიცინო სასწავლებლის დამთავრებისთანავე ქ-ნ რუსუდანს დრო არ გაუცდენია. ის წლების მანძილზე ქ. ქუთაისში სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში მუშაობდა თავისი პროფესიით, ყოველთვის პასუხისმგებლობით ეკიდებოდა მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, იცავდა სამედიცინო ეთიკის ნორმებს, რითაც პაციენტების დიდ სიყვარულსაც იმსახურებდა.

1973 წლიდან ქ-ნი რუსუდანი ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის სამედიცინო პუნქტის ექთანია. 44-ე წელი გადის, რაც მან ჩვენს უნივერსიტეტში ექიმის თანაშემწედ დაიწყო მუშაობა. არის ყურადღებიანი, გულისხმიერი, დინჯი, დაკვირვებული. უყვარს თავისი პროფესია. სისტემატურად იმაღლებს კვალიფიკაციას, ეცნობა მედიცინის ახალ-ახალ მიღწევებს. ჰყავს უამრავი კმაყოფილი და მადლიერი პაციენტი. ყოველდღიურად უამრავ მადლობას ღებულობს უნივერსიტეტის ლექტორ-მასწავლებლებისაგან თავისი საქმის სიყვარულით შესრულების გამო.

ქ-ნ რუსუდან ირემაძესა და ჩვენი სამედიცნო პუნქტის ყველა თანამშრომელს მივულოცოთ გაზაფხულის დადგომა, ყველა ლამაზი დღესასწაული და ვუსურვოთ ჯანმრთელად დიდხანს სიცოცხლე.

ი. რ.

დოკუმენტური ფილმის ჩვენება

ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ცნობილი ქართველი ემიგრანტი მიხაკო წერეთელი აღნიშნავდა: „საქართველოში თუ დღეს ახალ თაობას ჩვენი არა ესმის რა, მისი შემდგომი თაობა გაგვიგებსო."

მართლაც, საქართველოში 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან დადგა დრო, როცა ბოლშევიკურ - საბჭოური იდეოლოგიით გაჟღენთილმა სააზროვნო სისტემამ თანდათანობით მეტამორფოზა განიცადა და საზოგადოება ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ცხოვრება-მოღვაწეობით დაინტერესდა.

ამ მხრივ საინტერესოა პერუში მოღვაწე მარიამ კერესელიძის შემოქმედება, რომელიც გენერლისა და „თეთრი გიორგის" დამაარსებლის ლეო კერესელიძის ქალიშვილი და მისი იდეოლოგიის თანამდგომი და თანამებრძოლი გახლდათ.

ჟენევაში დაბადებული და დედითაც შვეიცარიელი მარიამ კერესელიძე ბავშვობიდანვე ლექსებსაც ქართულად წერდა და მღეროდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სამხრეთ ამერიკაში ცხოვრებისას იგი ლექციებს პერუს უნივერსიტეტში კითხულობდა და პარალელურად ფართო ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა. პერუს თეატრებში წარმატებით დაიდგა მარიამ კერესელიძის იგივე ლეო კერელის ესპანურად და ფრანგულად დაწერილი პიესები „მაიტა" და „ვარსკვლავთა ფესვები".

საბოლოოდ, მარიამ კერესელიძე კვლავ ევროპაში მკვიდრდება და სოციოლოგიაში ლექციებს სორბონის უნივერსიტეტში კითხულობდა. მომხიბვლელი, წარმატებული, მრავალი ენის მცოდნე და პროფესორი ყველგან დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, მაგრამ თავის თავს მაინც „დაკარგულ ქართველ ქალად" მიიჩნევდა, ვინაიდან, როგორც ერთ-ერთ თავის ეპისტოლეში აღნიშნავდა: „მე არც ერთ ერს ვერ ვეგუები, არც სულიერად და არც აზროვნულად. მე მიზიდავს და მაინტერესებს მხოლოდ საქართველო, ის ხალხი რომელიც მანდ ცხოვრობს. მე არ მაინტერესებს ფული, სიმდიდრე, დროს გატარება და საერთოდ ბედნიერება, რომელიც უდიდეს მიზნად დაუდგება თვალწინ ბევრ ხალხს. მე მინდა შინაარსიანი ცხოვრება, მაინც უშინაარსოდ დარჩება ვინაიდან ეგ ჩემი ხალხი არ არის და მე მაგათვის მუდამ უცხო ვიქნები. თუკი საქართველოში ვიქნებოდი, რაც უნდა უბრალო მუშაობა რომ მექნეს, მაგალითად გზის გაკეთება, ეს მაინც რაღაცა შრომა იქნება საქართველოსთვის და ის პატარა ქვა ჩემი ხელით დაწყობილი დარჩება."

ეს ამონარიდი 1956 წლით დათარიღებული ერთ-ერთი წერილიდანაა, რომელსაც იგი მრავალი წლის განმავლობაში უგზავნიდა პერუდან თბილისში მცხოვრებ მამიდას ელენე გლურჯიძეს. მარიამ კერესელიძის ეპისტოლეები ბევრ საინტერესო მასალებს გვაწვდის არა მარტო მის პირად ცხოვრება-მოღვაწეობაზე, არამედ ზოგადად პოლიტიკურ ემიგრანტთა საქმიანობაზე. განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის დროს მათ ანტისაბჭოთა ორგანიზაციებში მოღვაწეობაზე, რომლის თანამონაწილეც პირდაპირ თუ ირიბად თავადაც გახლდათ, რათა რუსეთის სივრციდან გამოეხსნათ საქართველო.

პირველად, ეპისტოლარული ჟანრით უცხოეთში მოღვაწე ემიგრანტი მარიამ კერესელიძე ქართული ემიგრანტული ლიტერატურის სივრცეში ფილოლოგიის დოქტორმა მარიამ მარჯანიშვილმა შემოიყვანა და დაამკვიდრა.

სწორედ, ეს ეპისტოლეები დაედო საფუძვლად საზოგადოებრივი მაუწყებლობის „დოკუმენტური ფილმების სტუდიის" მიერ გადაღებულ დოკუმენტურ ფილმს „დაკარგული ქართველი ქალი", რომლის სცენარის ავტორი გახლავთ კინომცოდნე არჩილ შუბაშვილი და რეჟისორი ბესო გაფრინდაშვილი.

პირველად, ამ დოკუმენტური ფილმის ჩვენება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ ვახტანგ ამაღლობელის სახელობის ამერიკის შესწავლის ცენტრის ხელმძღვანელმა, ასოცირებულმა პროფესორმა ია იაშვილმა, მარიამ კერესელიძის ცხოვრება-მოღვაწეობაზე ისაუბრა ფილოლოგიის დოქტორმა მარიამ მარჯანიშვილმა, ხოლო ფილმი წარადგინეს სცენარის ავტორმა არჩილ შუბაშვილმა და რეჟისორმა ბესო გაფრინდაშვილმა.

დოკუმენტურმა ფილმმა - „დაკარგული ქართველი ქალი" - დამსწრეთა დიდი ინტერესი გამოიწვია, რომელიც შეაფასა პროფესორმა ავთანდილ ნიკოლეიშვილმა და აღნიშნა, რომ „მისასალმებელია ემიგრანტული ლიტერატურის შექმნის პარალელურად მსგავსი ფილმების გადაღება, რაც კიდევ უფრო მეტად თვალსაჩინოს გახდის ემიგრანტთა ცხოვრება-მოღვაწეობას."

ფილმის ირგვლივ ისაუბრეს ასევე ასოცირებულმა პროფესორმა ნესტან კუტივაძემ, ელდარ ბასილაძემ და სხვებმა.

დოკუმენტური ფილმების სტუდიის შემოქმედებითმა ჯგუფმა მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასა და ამ შეხვედრის ორგანიზატორებს.

მარიამ მარჯანიშვილი

გულნარა გოცირიძე (1940-1994)

* * *

ამბობენ, გარდაცლილი ადამიანზე ან კარგი უნდა თქვა, ან არაფერიო! ქალბატონი გულნარა გოცირიძე იმ იშვიათ გამონაკლისთა რიცხვს ეკუთვნის, რომლის ბიოგრაფიაშიც დიდი მცდელობის შემთხვევაშიც კი გაგვიჭირდება რაიმე ხინჯის მონახვა.

გულნარა გოცირიძე დაიბადა 1940 წლის 3 მარტს, ქალაქ ქუთაისში. დედა- თამარ სოხაძე, ქართული ენისა და ლიტერატურის დამსახურებული მასწავლებელი. მამა - ნიკოლოზ გოცირიძე, ცნობილი ინჟინერ-მშენებელი, რომლის სახელთანაც არის დაკავშირებული ქუთაისში არა ერთი ნაგებობის მშენებლობა, მათ შორის ბალახვნის ასსაფეხურიანი კიბეების.

გ.გოცირიძემ ქუთაისის მე-6 საშუალო სკოლა დაამთავრა 1957 წელს ოქროს მედალზე. პარალელურად იგი სწავლობდა მ.ბალანჩივაძის სახელობის მუსიკალურ სასწავლებელში, საფორტეპიანო განყოფილებაზე, რომელიც წარმატებით დაასრულა 1958 წელს და მუშაობა დაიწყო მუსიკის მასწავლებლად ქუთაისის პირველ სამუსიკო სკოლაში.

1957 წელს, მან წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ქიმია-ბიოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც წითელ დიპლომზე დაამთავრა 1962 წელს. ინსტიტუში სწავლის პერიოდში გ.გოცირიძე გამოირჩეოდა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე აქტიური და წარმატებული სტუდენტი.

1963 წელს გ.გოცირიძე მუშაობას იწყებს ქუთაისის 26-ე საშუალო სკოლაში, სადაც მალე გამოიჩინა თავი, როგორც ნიჭიერმა, ერუდირებულმა, არაორდინალურმა პედაგოგმა, რომელიც იმთავითვე ხასიათდებოდა სიახლისკენ სწრაფვით, გაბედულებით, სურვილით-პროგრესული თეორიული შეხედულებანი სასწავლო პრაქტიკისათვის დაეკავშირებინა. ეს თვისებები შეუმჩნეველი არ დარჩენილა და იგი მიიწვიეს ქიმიის პედაგოგად ფიზიკა-მათემატიკის სპეციალიზებულ საშუალო სკოლაში მისი გახსნის დღიდანვე. ამ სკოლაში მუშაობის პერიოდში, კიდევ უფრო თვალნათლივ წარმოჩინდა მისი მაღალი პედაგოგიური ერუდიცია, ინტერესთა მრავალმხრივობა და მრავალფეროვნება, მოსწავლეებთან და კოლეგებთან ურთიერთობის განსაკუთრებული უნარი. ამ გარემოებათა გათვალისწინებით, გ. გოცირიძე, მისი აღმზრდელი ლექტორ-მასწავლებლების ინიციატივით, მიწვეულ იქნა ქუთაისის ალ.წულუკიძის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში ქიმიის კათედრაზე, ქიმიის სწავლების მეთედოდიკის პედაგოგად, სადაც იგი სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა.

გ. გოცირიძე მუშაობის პარალელურად სწავლობდა თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასპირანტურაში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1987 წელს.

ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში, ქალბატონი გულნარა ენთუზიაზმით შეუდგა ლექციების კითხვას ქიმიის სწავლების მეთოდიკაში. იგი ერთ მთლიანობაში განიხილავდა საშუალო სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელში ქიმიის სწავლების მეთოდიკის საკითხებს. სისტემატურად აქვეყნებდა მეთოდური ხასიათის სტატიებს ჟურნალში „ქიმია-ბიოლოგია სკოლაში", მონაწილეობდა სასწავლო-სამეცნიერო კონფერენციებში, წლების განმავლობაში იყო ქალაქის განათლების განყოფილების ქიმიის სწავლების მეთოდისტი. პერიოდულად, ატარებდა ლექცია-სემინარებს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში ქალაქისა და რაიონების მასწავლებლებისათვის.

გ.გოცირიძეს ხშირად იწვევდნენ სხვადასხვა საგამოცდო კომისიების თავმჯდომარედ და წევრად, როგორც ქუთაისში, ასევე ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ იგი, თავის პროფესიულ საქმიანობას წარმატებით უთავსებდა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას, არჩეული იყო ქუთაისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

გ.გოცირიძე მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე სარგებლობდა კოლეგებისა და სტუდენტების მხრიდან დამსახურებული სიყვარულითა და პატივისცემით. მან არა ერთი თაობა აზიარა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საფუძვლებს, მისი მრავალრიცხოვანი აღზრდილები დღესაც წარმატებით აგრძელებენ საქმიანობას მათ მიერ არჩეულ პროფესიულ სარბიელზე.

ქიმიის დეპარტამენტი

* * *

არსებობენ ადამიანები, ღვთისაგან რჩეულნი, რომლებიც თავისი პიროვნული თვისებებით განსაკუთრებულ ელფერს აძლევენ იმ საზოგადოებას, იმ გარემოს, სადაც ისინი მოღვაწეობენ. ასეთ რჩეულთა რიცხვს ეკუთვნოდა ქალბატონი გულნარა გოცირიძე. ქალი, რომელიც გამორჩეული იყო თავისი ნიჭიერებით, შრომისმოყვარეობით, წიგნიერებით, დახვეწილი გემოვნებით. იგი კარგად უხამებდა ერთმანეთს პედაგოგიურ მოღვაწეობასა და დიდ მეცნიერულ მუშაობას. ჩვენი უნივერსირტეტის ქიმიის კათედრაზე მიჰყავდა ქიმიის სწავლების მეთოდიკის კურსი და ითვლებოდა წამყვან სპეციალისტად. იგი თავის ენერგიასა და ცოდნას არ იშურვებდა , რათა გაეღმავებინა ქიმიის სიყვარული სკოლის მისწავლეებში, სადაც იგი მასწავლებლდ მუშაობდა და ეს სიყვარული განემტკიცებინა იმ სტუდენტებში, რომელთაც ლექციებს უკითხავდა.

ქალბატონმა გულნარამ თავისი წუთისოფლის გზა შრომითა და სიკეთის კეთებით გაიარა. იყო შესანიშნავი მეგობარი, მეუღლე და მოსიყვარულე დედა. თვითონაც შესანიშნავ დღეს, დედის დღეს, 3 მარტს იყო დაბადებული. იმიერში ვულოცავთ ამ დღეს და ღმერთს ვთხოვთ ნათელში ამყოფოს მისი სული.

ნარგიზა ხაბურძანია-შალამბერიძე
ქიმიის დეპარტამენტი

* * *

კიდევ ერთი გაზაფხული მოვიდა უთქვენოდ. კიდევ ერთხელ აჭრელდა მინდვრები იებითა და ნარცისებით, რომლებიც თქვენ ასე ძალიან გიყვარდათ. კიდევ ერთხელ აივსო ჩვენი გულები თქვენი მონატრებით.

ძვირფასო, საყვარელო გულნარა მასწავლებელო, ძალიან გვაკლიხართ. გვენატრება თქვენი სასიამოვნო, ხავერდოვანი ხმა, ტკბილი საუბარი, თქვენი საოცარი მომაჯადოებელი ღიმილი, რომელიც ასე ძალიან გიხდებოდათ.

ამბობენ, ბუნება საუკეთესო ხელოვანიაო და ალბათ ამიტომაც უფალმა თქვენს შესანიშნავ გარეგნობას უზადო ნიჭიერება, მაღალი ზნეობა, სულიერება და კეთილშობილება შეუხამა. თქვენ დაგვაუფლეთ არა მარტო ჭეშმარიტი მეცნიერების საფუძვლებს, არამედ ასევე თქვენგან ვისწავლეთ სიყვარული, სიკეთე, რომელიც უხვად იყო მოზღვავებული თქვენში. თქვენ იყავით ბრწყინვალე პედაგოგი და მეცნიერი, შეუდარებელი მეუღლე, დედა და ბებია, არაჩვეულებრივი მეგობარი და შესანიშნავი ადამიანი.

3 მარტი თქვენი დაბადების დღეა. გვინდა იმქვეყნიურ სასუფეველში მოგილოცოთ ეს დღე. ღმერთმა დაუმკვიდროს სიმშვიდე თქვენს ლამაზ სულს. ჩვენ კი, თქვენი აღზრდილები, ღირსეულად გავაგრძელებთ თქვენს მიერ დაწყებულ საქმეს თქვენი სულის ნათელსაყოფად.

ნინო კახიძე
ქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

* * *

ქალბატონ გულნარასთან ჩვენი შეხვედრა მესამე კურსზე მოხდა, როცა მან წაგვიკითხა პირველი ლექცია ქიმიის სწავლების მეთოდიკაში. მისი ყოველი ლექცია იყო განუმეორებელი, საინტერესო და სიახლით სავსე. იგი არ იშურებდა ენერგიას იმისათვის, რომ ჩვენთვის აესხნა, როგორ უნდა გვესწავლებინა ქიმია მოსწავლეებისათვის.

წავიდა ჩვენგან დიდი სიყვარულით, ერთგულებით, მონატრებით და ახლა ზეციდან გვმოძღვრავს, გვამხნევებს, გვაკავშირებს მისი სული. ჩვენს მეხსიერებას შემორჩა ქალბატონი გულნარა როგორც უზომოდ განათლებული, საინტერესოდ მოსაუბრე, უბადლო ნიჭით დაჯილდოვებული, უანგარო, ბრწყინვალე პედაგოგი, შესანიშნავი მეგობარი და კოლეგა.

მძიმეა, დიახ,ძალიან მძიმეა ყოველი ჩვენთაგანისათვის მისი უდროოდ წასვლა. სწორედ ახლაა საჭირო ასეთი ადამიანები ჩვენთვის- კოლეგებისა და სტუდენტებისათვის. ქალბატონი გულნარას გარდაცვალებით გულში დიდი სიცარიელე ვიგრძენით და დავრწუნდით, რომ ცხოვრება სიცოცხლესა და სიკვდილს შორის მიმავალი ის გზაა, რომელზეც მოძრაობა არასოდეს, არც დღისით და არც ღამით არ წყდება. განუწყვეტლივ მიდიან და მიდიან ადამიანები, თუმცა ერთმანეთს ვერ ცვლიან. ქალბატონ გულნარასაც ვერავინ შეცვლის. წლები გავიდა, მაგრამ მისი არყოფნით გამოწვეული მწუხარება არა და არ დაცხრა. მის პიროვნებას დავიწყება არ უწერია.

ნათქვამია, ადამიანი მანამ ცოცხლობს, სანამ ის ახსოვთ. ჩათვალეთ, რომ ქალბატონი გულნარა ძალიან დიდხანს ემახსოვრებათ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის უამრავ სტუდენტს თუ თანამშრომელს, ყველას, ვისაც მასთან შეხება ჰქონია.

ახლა, ამდენი ხნის შემდეგ, უკვე მარადისობაში გადასულს მინდა გითხრათ ძალინ დიდი მადლობა იმისათვის, რომ ამშვენებდით უნივერსიტეტს, ჩვენს ქალაქსა და ქიმიურ საზოგადოებას. ჩვენ, კი ყოველთვის სითბოთი და სიყვარულით მოგიგონებთ თქვენ, ჩვენო ძვირფასო მასწავლებელო.

მანუჩარ ჩიქოვანი
ქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

დაინახე შენი ისტორია

2016 წლის მიწურულს გამომცემლობა „პალიტრა L" დასტამბა საქართველოს ილუსტრირებული ისტორიის 28-ე ტომი, „დასავლეთი საქართველო XV-XIX საუკუნეებში", პროფესორების სულხან კუპრაშვილის და ჯაბა სამუშიას ავტორობით. წიგნი, როგორც ავტორები აღნიშნავენ, განკუთვნილია ყველა ასაკის მკითხველისათვის, ოჯახის ყველა წევრისათვის - უმცროსიდან - უფროს თაობამდე... გაცნობიდან - გახსენებამდე.

მდიდარ წერილობით წყაროებზე, დოკუმენტურ მასალაზე, სამუზეუმო წყაროებზე, სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით დაწერილი და ილუსტრირებული წინამდებარე წიგნი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის XV-XIX საუკუნეების დასავლეთი საქართველოს შესახებ.

XV საუკუნე საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მიჯნას წარმოადგენს. სწორედ ამ საუკუნის 60–იან წლებში იწყება ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის დაშლა ცალკეულ სამეფო–სამთავროებად. ახლად წარმოქმნილი ქართული პოლიტიკური ერთეულები უადრესად მძიმე სოციალურ–პოლიტიკურ ვითარებაში იმყოფებიან. ერთმანეთთან ფეოდალურ შუღლსა და დაპირისპირებას ემატება საერთაშორისო ვითარების გართულებაც.

XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე ქართულ სამეფო – სამთავროებს უმეზობლდება ორი აგრესიული ისლამური იმპერია: ოსმალეთი და სეფიანთა ირანი, რომლებიც კავკასიის დამორჩილებისათვის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ეომებიან ერთმანეთს. 1555 წლის ამასიის ზავით, ირანი და ოსმალეთი ინაწილებს გავლენის სფეროებს: ქართლისა და კახეთის სამეფო ირანის კონტროლირებადი ტერიტორიაა, ხოლო დასავლეთი საქართველო და სამცხე-საათაბაგო - ოსმალეთის. ამიერიდან ეს ორი იმპერია აწესებს პოლიტიკურ წესრიგს კავკასიაში. ასეთი ვითარება გრძელდება XVIII საუკუნემდე, ვიდრე რუსეთის იმპერიის მზარდი ინტერესები არ დაუპირისპირდება ისლამურ საფრთხეს.

რუსეთის იმპერია, ერთმორწმუნეობის შეფარული პოლიტიკით ცდილობს კავკასიაში მცხოვრები ქრისტიანების გულის მოგებას და ირან-ოსმალეთის რეგიონიდან გაძევებას. XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთი არამარტო მოწინააღმდეგეებს აძევებს კავკასიიდან, არამედ აუქმებს და იპყრობს ქართულ სამეფო – სამთავროებს, გადააქცევს რა მათ რუსულ გუბერნიებად.

ქართული ფეოდალური პოლიტიკური ერთეულებიდან XV-XIX საუკუნეებში უმძიმესი საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარებით გამოირჩეოდა იმერეთის სამეფო, რომელსაც 1462 წლიდან ეყრება საფუძველი. XVI საუკუნის მეორე ნახევარში იმერეთის სამეფო მკვეთრად სუსტდება. გურიისა და სამეგრელოს მთავრები, თავიანთ სამთავროებს ისე განაგებდნენ, როგორც დამოუკიდებელი მონარქები. დასავლეთი საქართველო საშინელი შინაომების ასპარეზად გადაიქცა. მარტო XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე, 40 წლის განმავლობაში, იმერეთის სამეფოში თითქმის 20-ჯერ შეიცვალა ხელისუფლება. ამას გარდა, უნდა აღინიშნოს, რომ იმერეთში გამეფებულ, თუ ჩამოგდებულ მეფეთაგან, მხოლოდ ერთი გარდაიცვალა ბუნებრივი სიკვდილით.

1752 წელს იმერეთის სამეფო ტახტი დაიკავა ნიჭიერმა და ენერგიულმა პიროვნებამ - სოლომონ I-მა, რომელმაც მნიშვნელოვანი რეფორმებით შეძლო იმერეთის სამეფოს პოლიტიკური მდგომარეობის გამოსწორება. მისი პოლიტიკის გამგრძელებელი აღმოჩნდა სოლომონ II-ც. XIX საუკუნის დასაწყისში, ქართლ–კახეთის სამეფოს ანექსიის შემდეგ, რუსეთის იმპერიული პოლიტიკა იმერეთის მიმართაც გააქტიურდა. 1804 წლის 25 აპრილს დაიდო „ელაზნაურის შეთანხმება", მაგრამ იმერეთი ვერ გადაურჩა რუსეთის იმპერიის აგრესიას. 1810 წლის თებერვალში რუსულმა ჯარმა იმერეთი დაიკავა და მეფის ხელისუფლება გააუქმა. იმერეთის სამეფოს დაპყრობის შემდეგ ჯერი დასავლეთი საქართველოს სამთავროებზე მიდგა. XIX საუკუნეში რუსეთმა შეიერთა გურიის, სამეგრელოს, აფხაზეთისა და სვანეთის სამთავროები.

სწორედ, იმერეთის სამეფოში განვითარებული ისტორიული მოვლენებია ასახული პროფესორების – სულხან კუპრაშვილისა და ჯაბა სამუშიას წიგნში „დასავლეთი საქართველო XV-XIX საუკუნეებში". ნაშრომი წარმოადგენს იმერეთის სამეფოსა და მის დაქვემდებარებაში შემავალი სამთავროების ილუსტრირებულ ისტორიას. მასში თავმოყრილია დასავლეთ საქართველოში განვითარებული უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენების ენციკლოპედიური აღწერა. განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ბაგრატ III-ის პოლიტიკურ და აღმშენებლობით მოღვაწეობას, XVI საუკუნის 60–70–იანი წლების იმერეთის მეფე–მთავართა დაპირისპირებას, ქართლის მეფე სიმონ I–ის ლაშქრობას იმერეთში, ლევან მეორე დადიანის მოღვაწეობას, სოლომონ I–სა და მის ფართომასშტაბიან რეფორმებს, ტყვეთა სყიდვას, XVIII საუკუნის რუსეთ–თურქეთის ომებს, სოლომონ მეორესა და მის რუსეთთან ურთიერთობას. ცალკე ქვეთავი აქვს გამოყოფილი აგრეთვე რუსეთის მიერ დასავლეთ საქართველოში არსებული ფეოდალური სამთავროების გაუქმების საკითხს.

ნაშრომის მთავარ სიახლეს წარმოადგენს შესაბამისი ეპოქის დამახასიათებელი მდიდარი ილუსტრაციები, რომელიც ხელწერითა და სტილით ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული მხატვრების მიერ არის ილუსტრირებული. ყოველი აღწერილი ამბავი, ეპიზოდი, დეტალი, უნიკალური სამუზეიმო ექსპონატი, ფოტო და ფრესკა დოკუმენტურ სიზუსტეს სძენს წარმოდგენილ ისტორიულ მასალას.

წიგნის კიდევ ერთ, უმნიშვნელოვანეს ღირსებად მიგვაჩნია ის, რომ ეს წიგნი განკუთვნილია ისტორიით დაინტერესებული ყველა ასაკის მკითხველისათვის, მათ შორის დაწყებითი (V-VI კლასები) და საბაზო (VII, VIII, IX კლასები) საფეხურის მოსწავლეებისათვის. ნაშრომი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს იმ მოსწავლეებს, რომლებიც V-VI კლასებიდან იწყებენ საქართველოს ისტორიის მოკლე კურსის შესწავლას. მდიდარი ვიზუალური და ფაქტობრივი მასალა ხელს შეუწყობს მათში საკუთარი ქვეყნის ისტორიისადმი ცხოველი ინტერესისა და სიყვარულის გაღვივებას. სასკოლო განათლების საბაზო საფეხურზე, IX კლასში საქართველოს ისტორიის სრული კურსის შესწავლისას, აღნიშნული წიგნი მოსწავლეებისათვის იქნება გზამკვლევი XV-XIX საუკუნეების დასავლეთი საქართველოს ისტორიული პროცესების შესწავლაში.

და ბოლოს, მადლობა გვინდა ვუთხრათ ავტორებს მათ მიერ გაწეული დიდი შრომისათვის, წიგნის უნიკალურობისათვის და დასავლეთ საქართველოს ისტორიის ვიზუალური რეკონსტრუქციისათვის.

გიგა ბასილაძე
ისტორიის აკადემიური დოქტორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის,
ისტორიის და არქეოლოგიის დეპარტამენტის
მოწვეული სპეციალისტი

პოეზიის დღე



გასულ წელს ნუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩამოყალიბებული რედაქციის „პოეზიის დღე" მე-11 ნომერი, რომელშიც დაბეჭდილია ჩვენი უნივერსიტეტის რექტორმასწავლებლების, სტუდენტების და რეგიონში მოღვაწე შემოქმედების ნაწარმოები და ოფიციალური ინფორმაციები, ისტორიები, ესსეები. ასევე ჟურნალში დაბეჭდილია ემბლემაში მოღვაწე ჩვენი თანამშრომლის მოთხრობა, ხელნაწერები და სხვა.

ჟურნალ „პოეზიის დღის" რედაქციის გახლავთ ნუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოც. პროფ. ნოდარ ფეფანიშვილი, მთავარი რედაქტორები ირინა ფანტაძე და ანა ჯიქია, მაკეტის ტექნიკური კონსულტანტი: მიხეილ ბაბალაძე, ნოდარ ფეფანიშვილი, ანა ჯიქია, ლოლა დარსაძე.

ლოლა დარსაძე



მთავარი რედაქტორი **ზია ხოფერია**
რედაქტორის მოადგილე **ლელა ჩოგოვაძე**
კორესპონდენტი **თამარ გუმბერიძე**
კომპიუტერული უზრუნველყოფა **ნინო პატარაია**

ჩვენი მისამართი: ქუთაისი, თამარ მეფის ქ. № 59
ტელ.: 2-59; 593 73 63 59; 593 32 94 88; 551 94 97 94
E-mail: atsugazeti@gmail.com

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობაში ტელ.: 24 00 21; E-mail: atsugamomcemloba@gmail.com